სპორტი

ეროვნული
საინფორმაციო
ბიურო

სპორტული გაზეთი

ჯრაცხადი 25 ივნისი 2004 №144 (2163)

ფასი 50 თეთრი

მადლობა ღმერთს! მან დღეს მოგვცა ყველაფერი!

ლუიშ ფელიპე სკოლარი



რიკარდუს შიხვეიკი
ცეკვის ჯაჭვში

REUTERS ლისაბონიდან

REUTERS ლისაბონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

Euro 2004 PORTUGAL
გიორგი დარჯანია

ეუსებიოს ხმა

ღმერთო ჩემო, ეს რა იყო?!

ამ მატჩის მიმოხილვისას ცივი გონება არ გამოდგება, ემოციები გადასწონის და დაარღვევს მიმოხილვის ჩვეულ სქემას და თუ ვინმე სპორტთან მწყრალად მყოფი კაცი გვკითხავს, რატომ გიყვართ ფეხბურთიო, უნდა ვუპასუხოთ: აი, ასეთი მატჩების გამო!

ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს კაცმაო. ჩვენ ბოლოდან დავიწყოთ, პენალტების სერიიდან. როცა გუნდები პენალტებისთვის ემზადებოდნენ, როცა ურს მაიერმა კენჭი ყარა, მარჯვენა კარისკენ მიუთითა, პირველი დარტყმა კი ინგლისს არგუნა, დიდ პორტუგალიელ ეუსებიოს გულმა არ მოუთმინა, ფეხბურთელებთან ჩავიდა და მეკარე რიკარდუს რაღაცას უხსნიდა. როცა ექვს-ექვსი პენალტი დარტყმული იყო და ამათგან რიკარდუმ ერთიც ვერ მოიგერია, დარიუს ვასელი კი მეშვიდეს დასარტყმელად მიემართებოდა, ეუსებიომ, დიადმა პორტუგალიელმა, რიკარდუს რაღაც უღრიალა. რიკარდუმ ხელთათმანები გაიძრო, ისე ჩადგა კარში და ვასელს აუღო. მერე რიკარდუმ ვალენტეს არ დანება ბოლო დარტყმა, თვითონ ითავა და — პორტუგაااااااااااალ!

სანამ რიკარდუ ხელთათმანებს გაიხდიდა, პენალტი ინგლისელთაგან ბექემმა გაფუჭა, პორტუგალიელთაგან კი რუი კოშტამ. ორთავემ აცილა, ისევე როგორც თავის დროზე აუცილებიათ მიშელ პლატინის, ფრანკო ბარეზის, სოკრატესს, რობერტო ბაჯოს, ზიკოს და ბევრ სახელიან თუ უსახელო ფეხბურთელს.

ოუენმა, ლამპარდმა, ტერიმ და ეშლი კოულმა, თითქოს დაფიცებული ჰქონდათო, ბექემის წახდენილი დარტყმის მერე შუაში დაარტყეს. ჰარგრივსმა და ვასელმა მარჯვენა კუთხე ირჩიეს. ბაიერნელს გაუმართლა, ვასელს კი არჩევანი სანანებლად დაურჩა. არადა, რიკარდუ შვიდიდან ხუთი პენალტისას სწორედ მარჯვნივ გადახტა.

პორტუგალიელებს შუაში არ დაურტყამთ, სულ კუთხეებს ირჩევდნენ, პოსტიგამ კი წაიმარიაჯა კიდეც ეფექტურად უნდოდა გატანა და ვაი მისი ბრალი, რომ ვერ გაეტანა.

პენალტებამდე კი ისტორიაში პირველად ამოქმედდა ვერცხლის გოლის წესი და საშკარაოზე გამოიტანა ფიფა-უეფას ძველი გადაწყვეტილების უგუნურობა ოქროს გოლის დაწესების თაობაზე.

ოქროს გოლის წესმა თავის დროზე, ვინ იცის, რამდენი დაუკარგა ევრო 96-ზე გერმანია — ჩეხეთის ფინალს, ანაც უეფას თასზე „ლივერპულისა“ და „ალავესის“ ფინალს.

კიდევ კარგი, გუშინ აღარ მოქმედებდა ეს ოხერი ოქროს გოლი, თორემ აღარ იქნებოდა არც ფრენკ ლამპარდისა და აღარც პენალტებით გატანილი გოლები. მატჩზე ვიტყოდით, რომ იყო ემოციებით დატვირთული, მაგრამ ახლა, უოქროსგოლოდ ეს მატჩი ბევრად ემოციური გამოდგა.

ინგლისს მთელი 80 წუთი, მესამედან ოთხმოცდამესამემდე თავი ნახევარფინალში ეგულებოდა. ეს რწმენა ინგლისელებს მაიკლ ოუენის სწრაფმა გოლმა ჩაუსახა. გოლი კი უცნაური იყო. დევიდ ჯეიმსის უშორეს დარტყმულს კოშტინიამ თავი შეაგება, მაგრამ მეტად უხეიროდ და ბურთი თავისვე საჯარიმოსკენ, პირდაპირ ოუენის ფეხებთან გადააგდო. თუმცა მხოლოდ კოშტინიას შეცდომაზე ლაპარაკი არ იქნება მართებული, რაკილა ოუენის მიერ ბურთის დამუშავებასა და დარტყმაში თვალნათლივ ჩანდა დიდი ნიჭი. ბარე ორი ვერ შეძლებდა ბურთის ასე მიღებას, დამუშავებას და დარტყმას, რაც ოუენმა წამის მეათედებში გააკეთა. და კაცმა რომ თქვას, ალბათ კარგიც იყო, რომ სწრაფი გოლი გავიდა. სხვაგვარად ალბათ მივიღებდით უფრო ჩაკეტილ და ფრთხილ თამაშს. ოუენის გოლმა კი პორტუგალიელებს სიფრთხილე დაავიწყა და თამაშიც თვალსასაჩინო გამოდგა.

მომენტები, დიახაც, იყო, ხოლო იმან, რომ პორტუგალიელთა გოლი გვიან გავიდა, როცა ინგლისს ნახევარფინალამდე შვიდი წუთიღა აშორებდა, ამ მატჩის ემოციური ფონი კიდევ უფრო გაამძაფრა — ასე უფრო მწარე შეიქნა ინგლისელთა მწუხარება და უფრო დიდი პორტუგალიელთა სიხარული.

უბრალოდ ვთქვათ: სიმაომ საჯარიმოში ჩაჰკიდა, პოსტიგამ კი, რომლის ხსენებაც აქამდე უკვე მოვასწარით, რვა მეტრიდან ჯეიმსს თავით აუღებელი დაურტყა.

დამატებით დრომდე კი იყო 90-ე წუთი, რომელმაც წამით აღტაცებაში მოიყვანა ინგლისელები და თავზარი დასცა პორტუგალიელებს — სოლ კემპბელის თავური ხარიხას მოხვდა, ასხლეტილს ჯონ ტერიმ საგოლე თავური დაურთო, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს წამიერი გრძნობები იყო, ურს მაიერმა მეკარეზე თავდასხმა შენიშნა და გოლი გააუქმა.

გაუქმებულ გოლს მოჰყვა დამატებითი დრო, დროულად გაუქმებული ოქროს გოლის წესით, რაკი ინგლისს რუი კოშტას მეორე გოლის მერე გადარჩენის შანსი დარჩა.

რუი კოშტას გოლი კი, ვინძლო, საუკეთესოდაც დაასახელონ ჩემპიონატის დასრულების მერე. მილანელმა მარჯვედ ჩამოიცილა მეურვე და საჯარიმოს გარედან დაარტყა. დაარტყაო, ვამბობთ, მაგრამ ზარბაზნიდან გასროლილს უფრო ჰგავდა.

თამაშის დასრულებამდე რჩებოდა ათი წუთი და მაყურებელი ძნელად თუ წარმოიდგენდა, ამ ათ წუთში კიდევ რაიმეს მოხდენას. მაგრამ მოხდა — ფრენკ ლამპარდმა თამაში პენალტებამდე მიიყვანა.

რა იყო პენალტებისას უკვე მოვყევით. ბექემის და რუი კოშტას აცილებულები და უხელთათმანო რიკარდუს გმირობა. რიკარდუსი და დიადი პორტუგალიელი ეუსებიოსი.

24 ივნისი მეოთხედფინალი. ლისაბონი. ლუზი

პორტუგალია 2:2 დ.დ.(ტენ. 6:5, 1:1) ინგლისი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია). 62 564 მაყურებელი

0:1 ოუენი (3), 1:1 პოსტიგა (83), 2:1 რუი კოშტა (110), 2:2 ლამპარდი (115)

პენალტები:

0:0 ბექემი (აცილა), 0:1 დეკო, 1:1 ოუენი, 1:2 სიმაო, 2:2 ლამპარდი, 2:2 რუი კოშტა (აცილა), 3:2 ტერი, 3:3 რონალდო, 4:3 ჰარგრივსი, 4:4 მანიშე, 5:4 ჯოული, 5:5 პოსტიგა, 5:5 ვასელი (მეკარე), 5:6 რიკარდუ

1 რიკარდუ

4 ჟორჟე ანდრადე — 16 რ. კარვალიუ

13 მიგელი — 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია

18 მანიშე — 20 დეკო

7 ფიგუ — 21 ნუნუ გომეში — 17 კ. რონალდო

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

შეცვლა

კოშტინია — 11 სიმაო (63), ფიგუ — 23 პოსტიგა (75), მიგელი — 10 რუი კოშტა (79)

1 ჯეიმსი

5 ტერი — 6 კემპბელი

2 გ. ნევილი — 3 ე. კოული

11 ლამპარდი — 4 ჯერარდი

7 ბექემი — 8 სქოულზი

10 ოუენი — 9 რუნი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი

შეცვლა

რუნი — 23 ვასელი (27), სქოულზი — 14 ფ. ნევილი (57), ჯერარდი — 18 ჰარგრივსი (81)

გაფრთხილება: ჯერარდი (37), გ. ნევილი (44), კოშტინია (56), დეკო (85), ფ. ნევილი (92), კარვალიუ (119)

ჯარიმა: 16-24; კუთხური: 13-9; კარისკენ დარტყმა: 19-5; კარში დარტყმა: 16-11; თამაშგარე: 4-2



REUTERS ლისაბონიდან



რიკარდოოო

ზურაბ მეძველია ბრაგადან

ავტობუსი სახურავზე

ინტერვიუ მოკლე პასებით ჩეხოფილ ჰოლანდიელებთან

ორი მატჩია, ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ. მართალია, შეცდომები ჩეხებთანაც დავუშვით და ლატვიელებთანაც, მაგრამ ფეხბურთი ასეთია — ხან გაპატიებს ამას მეტოქე, ხან — არა. მეოთხედფინალში ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ აწი ჩემპიონობის შანსი გვაქვს და ცდას არ დავაკლებთ, რომ ასეც მოხდეს — გვითხრა ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანმა ფილიპ კოკუმ ლატვიასთან 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ.

მილან ბაროში ჯიგარი ბიჭია და საერთოდ, ჩეხების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის — გახარებული იყო ევრო 2004-ის ჯერჯერობით ნომინალური მონაწილე პატრიკ კლუივერტი. შვედებზე ჯერჯერობით არც ვფიქრობთ, მით უმეტეს ნახევარფინალში შესაძლო მეტოქეზე.

ჯერ ამ წარმატებით ვხარობ — ამბობს პიერ ვან ჰოიდონკი. ჩვენი და ჰოლანდიელების გასაუბრება ამ ჩემპიონატის, ალბათ ევროპის და შესაძლოა, მთლად მსოფლიოს ყველაზე უცნაური სტადიონის მინუს მეორე სართულზე შედგა.

..კლდეს მიჯაჭვული ამირანი გამიგია, პრომეთეც, მაგრამ სტადიონი? ბრაგის მუნიციპალურ სტადიონზე სულ ორი ტრიბუნაა და აქედან ერთი პირდაპირ კლდეში შემდგარი. წარმოიდგენთ, მიდიხარ სტადიონზე და კონტროლიორი თქვენს ბილეთს... სახურავზე ამოწმებს. მერე ჯდებით გამჭვირვალე ლიფტში (აქეთ იქიდან კლდე გაკრიათ) და რვა სართულიდან საჭირო ღილაკს აჭერთ: მაგალითად, მესამეზე პრეს-ცენტრია, პირველზე პირველი იარუსი და პრეს-ლოჟა, მინუს მეორეზე კი ანუ კლდის ძირში — მიქს ზონა, ადგილი, სადაც ჟურნალისტს ნებისმიერ ფეხბურთელთან გასაუბრება შეუძლია. ერთი კარის უკან თავადაც ნახავდით, ისევ კლდეა დამონტაჟებული ევროპაში უდიდესი ტაბლოთი. მეორის უკან კი — ერთი შეუხედავი ბორცვი, რომლის წყალობითაც ეს სტადიონი ასე უბადრუკად ჩანს, თუნდაც ყველაზე თანამედროვე ტელევიზორის ეკრანზე, და რომელსაც ბურთი თუ გადააცილე, შეიძლება კოკა-კოლას რეკლამის სიუჟეტივით სულ სხვა სტადიონის კარის ბადეში აღმოაჩინო. მოკლედ, ნამეტანი უცნაური რამაა ეს ბრაგის სტადიონი და ამავდროულად ერთობ სასიამოვნოც — დანია — ბულგარეთის მატჩის შემდეგ გიო ახვლედიანს ტვინი გამოვუჭედე, მაგ სტადიონის უნახავად აქედან ნუ წახვალ-მეთქი და ნამდვილად არ უნანია, რომ დამეთანხმა და მისთვის წესით თავისუფალი დღე კლდეზე გაატარა.

მატჩიც უცნაური იყო. ჰოლანდია ლატვიას ეთამაშებოდა, მისი გულშემატკივრები კი სულ სხვა ქვეყნის სახელს გაჰყვიროდნენ. ისე მოხდა, ჩვენს გვერდით, ზუსტად ჰოლანდიის სათადარიგოთა სკამის უკან, ჩეხებთან მატჩში გაძევებული ჯონი ჰეიტინგა დასვეს. ისევე როგორც ტრიბუნების მთელ ნარინჯისფერ ნაწილს (ანუ სამ მეოთხედს), ამასაც მობილური მომართული ჰქონდა და ლისაბონის მატჩის ანგარიშს ელოდა. ბალაკის გოლმა ისე ჩაიარა, არავის შეუმჩნევია (მოედანზე მყოფებს რომ არ დასტყობოდათ), ჩეხთა საპასუხოზე კი პირველი გუგუნიც ატყდა. ჰოლანდიელი სათადარიგოები უკან იხედებიან და მთელი უკანა ტრიბუნა, მათ შორის ლუის ვან გაალი და უბრალოდ შემთვრალი ჯეელი საჩვენებელ თითს წევენ ჰაერში: 1:1! ასე ჰოლანდია მეოთხედფინალშია. ჩეხი, ჩეხი, ჩეხი! — მღერიან გახარებული ჰოლანდიელები, თუმცა წინადღის სკანდინავიური გაკვეთილი ყველას ახსოვს. ასეთია ბრაგას მუნიციპალი — ევრო 2004-ის ყველაზე უცნაური სტადიონი, ყველაზე ლამაზი სინამდვილეში და ყველაზე უშნო ტელეეკრანზე: აქ მეორე იარუსზე მჯდომ კაცსაც კი ჰგონია, რომ თავადაც თამაშობს ფეხბურთს, პირველი იარუსი ხომ საერთოდ — თუ ვან ნისტელროი არაა, დიკ ადვოკაატი მაინც ხარ და თამაშს ხელმძღვანელობ. იმიტომ... რომ რაც შენ უყვირე ვან დერ მეიდეს, მარჯვნივ ჩამოიწიეო, იმიტომ, რომ შენც ისევე ხედავ თამაშს, როგორც მღელვარე დიკი, რომელსაც, რატომ დავმალოთ და მგონი, დიდად არც უჯერებენ პროფესორებად ცნობილი ჰოლანდიელი ვარსკვლავები. აუფიდერზეინ გერმანია. ის იყო ამგვარი სიმღერა წამოიწყეს მუნიციპალის ერთ კუთხეში, რომ სტადიონი უეცრად აფეთქდა — შეცვლაზე შესულმა მილან ბაროშმა დააწინაურა ჩეხები. ჰოლანდია კი უტევს და უტევს. გააქვს და გააქვს. სათადარიგოთა სკამზე ერთი ღრიანცელია, პიერ ვან ჰოიდონკი ტრიბუნებს ევედრება და აქედანაც მთელი სექტორი აჩვენებს 2:1! ჰოლანდიელთა სკამზე ისეთი ამბავია, რომ მეოთხე მსაჯს გვარიანი მუშაობა უწევს მათ დასაშოშმინებლად. ჰოლანდია მეოთხედფინალშია და ცოტას თუ სჯერა, რომ ნახევარფინალში არ არის. ლუის ვან გაალი ცერს უჩვენებს ედგარ დავიდს, ედვინ ვან დერ სარი კი ჩვენი ტრიბუნის მოაჯირისკენ მორბის: 3:1? არა, არა... მაინც ყველანი ეხვევიან. ასე გადის ჰოლანდია მეოთხედფინალში და ასე ტოვებს რუდი ფიოლერი გერმანიის ნაკრების საჭეს: ვინმე ისეთი უნდა მოვიდეს, ვისაც იმგვარად ექნება ანთებული გული, როგორც მე მქონდა ოთხი წლის წინათ. ამ უცნაურ ადგილას მთის კენწეროზე. კლდეში ნაკვეთ სტადიონზე, ნარინჯისფერი ლაშქარი კვლავ ამხედრებულია. ჩეხეთი, ჩეხეთი, ჩეხეთს გაუმარჯოს. თუმცა, აწი ჰოლანდიამ იცის. იცის? პირველად ვითამაშეთ კარგად. შეთამაშება გვაკლია — ამბობს მარკ ოვერმარსი ლიფტის სახურავზე, სადაც ავტობუსი გველოდება.



ჩეხებთან მარცხის შემდეგ რუდი ფიოლერმა თქვა, გადადგომას არ ვაპირებო, მაგრამ გონებადაწმენდილმა მწვრთნელმა გუშინ დილით სასტუმრო „ჯალე და ლობოში“ ოთხწლიანი სანაცვლო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად განაცხადა.

რუდი, შენა ხარ მრუდი

ჰიცფელდმა ნაკრები დაიჩემა

სხვა გზა არც ჰქონდა. მაგალითად, „ბილდმა“ ნაკრების თამაში ასე შეაფასა: „რუდი, წადი! ჩვენ იდიოტებს დავემსგავსეთ“.

ჰამბურგში 150-მდე გულდათუთქულმა ქომაგმა გზა გადაკეტა, ნაგვის ყუთები და ქუჩაში ჩამწკრივებული ყვავილების ქოთნები დააგდო, პოლიციასაც შეეტაკა და დაახლოებით 20 კაცი დააპატიმრეს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე რუდი ფიოლერს საკმაოდ მშვიდად ულაპარაკია — „ჩეხებთან წაგებაზე სათქმელი აღარაფერი მაქვს. მხოლოდ ერთ ახალ ამბავს გეტყვით, ნაკრებს აღარ გავწვრთნი. გუნდს ახალი თავკაცი სჭირდება, რომელსაც ისევე ენდობიან, როგორც მე მენდნენ ოთხი წლის წინ. ეროვნული გუნდის მწვრთნელობა არაერთის ოცნებაა. მე დიდი გამოცდილება მივიღე. წარმატებაც მქონდა და ვარდნაც ვნახე, მაგრამ უფრო მეტი სიხარული გამახსენდება. ჯერჯერობით არ ვიცი, სად ვიმუშავებ, ერთი კია, საფეხბურთო კავშირში ადგილს მთავაზობენ“.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ ფორფელდერი — „რუდის წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა. ჩეხებთან მატჩის შემდეგ ველაპარაკე მას და მითხრა, დარჩენა აღარ მსურსო. მე შევთავაზე ორკვირიანი ვადა მოსაფიქრებლად, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა. ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბესაც ჩვენთან კონტრაქტი აქვს და მის საკითხსაც მოგვიანებით განვიხილავთ. პირველ რიგში მწვრთნელი უნდა მოვძებნოთ, თუმც ამჟამად კანდიდატებზე ვერ ვლაპარაკებ“.

ჯგუფში გერმანელთა ჩარჩენას ფრანც ბეკენბაუერი, ცხადია, უკამენტაროდ არ დატოვებდა: „უდავოა, რომ თუნდაც ერთი წლის წინ რუდი ფიოლერი უკონკურენტო და საუკეთესო იყო, მაგრამ ამ შემადგენლობით, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გვყადა, წარმატების მიღწევა შეუძლებელი გახლდათ. გულის სიღრმეში სწორედ ასე ვფიქრობდი. ახლა არ უნდა ავჩქარდეთ. მე თუ მკითხავთ, გერმანიის ნაკრების მთავარმწვრთნელობას სხვებზე მეტად ოტმარ ჰიცფელდი იმსახურებს. იგი უმუშევარია და საფეხბურთო კავშირს რუდის შემცვლელის საძებნელად შორს წასვლა არ დასჭირდება“.

სხვა ცნობილ ადამიანთა ნაზრევსაც გადავავლოთ თვალი, რომლებიც ნაკრების მარცხს გამოეხმაურნენ.

რაიმონდ კალმუნდი: „გამართლების და იღბლიანი მატჩების დრო დასრულდა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები საქმეს პასუხისმგებლობით არ მიუდგნენ, რუდი ფიოლერს კი სიამოვნებით მივიღებთ „ბაიერში“. მისი ცოდნა-გამოცდილება ძალიან წაგვადგება“.

მარკო ბოდემ მოკლედ მოჭრა: „ჩვენმა გუნდმა ოთხი წლის წინანდელი გაიმეორა“.

საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ფარნერ ჰაკმანი: „გაორებულ მდგომარეობაში ვარ. ფიოლერის გასაკრიტიკებლად ენა არ მემორჩილება, მაგრამ თავში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი მიტრიალებს, რომელსაც ვმასპინძლობთ. თუ ჩვენი ამჟამინდელი ნაკრების ძალას გავითვალისწინებთ, მეეჭვება, რომ რამეს მივაღწიოთ. ყველაფერი რადიკალურად უნდა შეიცვალოს“.

ბერლინის „ჰერტას“ მენეჯერი დიტერ ჰაინესი: „უდავოა, რომ ფიოლერს საკმაოდ სიმპათიური, ასე ვთქვათ, თეატრალური დასი ჰყავდა, მაგრამ ფეხბურთი თეატრი კი არა, სულ სხვა რამაა. ამჟამად, მხოლოდ ოტმარ ჰიცფელდს შეუძლია ძლიერი გუნდის შექმნა“.

ბოლოს კი თავად ოტმარ ჰიცფელდის ნათქვამი: „ფიოლერის გადადგომის შემდეგ ლოგიკური იქნება, რომ ნაკრების მწვრთნელობა მე მანდონ“.

ვაჟა ხუციშვილი



ფრთხილად!

პირესმა ფრანგებს რევანგელი შეახსენა

ჟაკ სანტინიმ გუშინწინ ფრანგული მედიის შეტევა მოიგერია, ახლა კი მისი ყველაზე დიდი პრობლემა მარჯვენა მცველების ტრავმიანობა გახდა.

შვეიცარიასთან მატჩში ვილი სანიოლს ხელი მოტყდა და კარგა ხანს ვერ ითამაშებს, უილიამ გალასს ფეხი ასტკივებია და დღეს მისი გამოჩენა ძალიან საეჭვოა. ამგვარად, მარჯვენა ფლანგზე მწვრთნელმა შესაძლოა, ჟან ალენ ბუმსონგი გაამწესოს.

პატრიკ ვიერას ბარძაყი აწუხებდა, მაგრამ, ექიმის თქმით, საშიში არაფერია და არსენალელი ბერძნებთან სათამაშოდ მზად იქნება.

ჟაკ სანტინის მედია დავიდ ტრეზეგეს სისუსტეზეც უკიჟინებდა, რომელმაც ხორვატებთან გატანილი გოლით კი გამოიჩინა თავი, მაგრამ ხელი რომ დაიხმარა, აშკარაა. ამ გოლს თუ არ ჩავთვლით, ტრეზეგეს სამ ჯგუფურ მატჩში სახეირო არაფერი გაუკეთებია, ხოლო შვეიცარიასთან მისმა შემცვლელმა ლუი საჰამ ერთი საგოლე პასი მიითვალა და უკეთესადაც გამოიყურებოდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი იმედოვნებს, რომ მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში სწორედ მას ანდობს ადგილს და ისიც აუცილებლად გაამართლებს.

რობერ პირესის აზრით, საბერძნეთი მეტად ბრძოლისუნარიანი გუნდია: „მათ პორტუგალიას მოუგეს, ესპანელებთან კი ფრედ ითამაშეს, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ოტო რეჰაგელი ხომ გამოცდილი მწვრთნელია და ყველაფერში კარგად ერკვევა“.

ტოტალიზატორ „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტები ჩემპიონობაზე

საფრანგეთი	9-4
ინგლისი	9-2
ჰოლანდია	9-2
ჩეხეთი	5-1
პორტუგალია	13-2
შვედეთი	11-1
დანია	12-1
საბერძნეთი	40-1

მეოთხედფინალი. დღეს

ლისაბონი. ზოზე ალვალადე. 23.45

საფრანგეთი – საბერძნეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ბარტეზი; გალასი, ტურამი, სილვესტრი, ლიზარაზუ; პირესი, ვიეირა, მაკელელე, ზიდანი; ანრი, ტრეზეგე

ნიკოპოლიდისი; სეიტარიდისი, დელასი, კაპსისი, ფისასი; კაცურანისი, ზაგორაკისი, ბასინასი, კარაგუნისი; ხარისტიასი, ნიკოლაიდისი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

გერმანელის სათამაშო

სტოიჩკოვმა სანტინი ოტოთი შეაშინა

ამ მატჩისთვის პიერლუიჯი კოლინაც ემზადება

საბერძნეთის ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში თამაში დიდი წარმატებაა, რადგან ამ დონის შეჯიბრში ელინები ასე შორს არასოდეს გასულან.

ამ წარმატების შემოქმედნი გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი და გამოცდილ-განწავლული ბერძენი ფეხბურთელები არიან. რეჰაგელის თავკაცობით ბერძნებმა ჩემპიონატის გახსნის მატჩში თვით მასპინძელი პორტუგალია დაამარცხეს და ზეიმი ჩაუმწარეს.

ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში ელინთა პირველ ადგილზე გასვლა მოულოდნელი იყო, მაგრამ პორტუგალიელებთან წარმატებამ ყველა დაარწმუნა, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა.

მეორე შეხვედრაში საბერძნეთი ესპანეთთან აგებდა, მაგრამ გათანაბრება და ქულის აღება მოახერხა. აქაც გამოჩნდა ოტო რეჰაგელის შეგირდთა ბრძოლისუნარიანობა.

ბოლო ტურში, გერმანელი მწვრთნელის თქმით, მათთვის უცნობ გუნდთან და ფეხბურთელებთან, რუსებთან წააგეს, თუმც ამ შემთხვევაში ელინებს ესპანელთა კარში პორტუგალიელი ნუნუ გომეშის გატანილი გოლი დაეხმარათ. აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა რუსეთთან 0:2-ზე ერთი გოლის გაქვითვა მაინც შეძლეს, ანუ მათ რეჰაგელისგან გერმანული შეუპოვრობა გადაედოთ. თავად მწვრთნელი, ნებისმიერ მატჩში, 90 წუთის განმავლობაში მოუღლელად მოძრაობს, გაჰყვირის და მითითებებს აძლევს ფეხბურთელებს. ასაკის მიუხედავად, ენერგიული კაცია და გუნდიც ასეთი ჰყავს.

ბერძნებმა პორტუგალიას მოუგეს, ესპანეთთან ფრეს გამოჰკრეს ხელი, ხოლო რუსეთთან დამარცხდნენ. გამოდის, რომ შედეგი თანმიმდევრულად გაუარესდა, მაგრამ დღევანდელ მატჩში ფრანგები ელინებს იოლად ვერ დაამარცხებენ. ასე ფიქრობს თავად ოტო რეჰაგელი, რომელმაც მეტოქის თითოეული ფეხბურთელი თავის შეგირდებს თხემით ტერფამდე შეასწავლა.

გერმანელს ეთანხმება ხრისტო სტოიჩკოვიც. ბულგარელისთვის უკითხავთ, ევროპის ჩემპიონი ვინ გახდებაო, მან კი მიუგო — საფრანგეთი, ოღონდ ჯერ საბერძნეთთან მოსაგებად ორჯერ მეტი ოფლი უნდა დაღვაროს, ვიდრე ინგლისთან.

რეჰაგელი ერთ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელსა და ერთსაც ტრავმირებულს მოისაკლისებს. ზისის ვრიზასი დასჯილია, ხოლო სტილიანოს იანაკოპულოსი რუსებთან მატჩში დაშავდა და დღეს მისი თამაში საეჭვოა. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება გეორგიოს კარაგუნისი, რომელმაც ერთმაჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ნახევარმცველ ვასილიოს ცარტასს უხარია ფრანგებთან შეხვედრა და ამბობს, რომ ამ ჩემპიონატზე გუნდებს შორის კლასში დიდი სხვაობა არაა: „ევროპის რვა საუკეთესოში უკვე მოვხვდით და

ნახევარფინალში გასვლაზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ? მთავარია, ითამაში თამაშამდე არ წავაგოთ. ძალიან კარგია, რომ ფრანგებს შევხვდით, ზიდანისგან ბევრის სწავლა შეიძლება“.

ვაჟა ხუციშვილი

ჯგუფური ეტაპის მიმოხილვა

პაპუნა ყედია

ანალიზ-ლაითი

უცქირეთ ფეხბურთს და თავს ნუ გადაიღლით

გონებიდან არ ამომდის ერთი ამბავი, უფრო სწორად ნათქვამი, რომელიც ოთხი წლის წინ ამსტერდამი — მოსკოვის თვითმფრინავში მოვისმინე. ევროპის წინა ჩემპიონატიდან შინ ვბრუნდებოდი, მოსკოვის თვითმფრინავში კი, ბუნებრივია, მოსკოველები ისხდნენ, მათ შორის ჟურნალისტები. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, შთაბეჭდილებები გავუზიარეთ. მე ემოციებით დატვირთული და გადატვირთული მხოლოდ აღმატებული ტონით საუბარს ველოდი და უცბად, ერთ-ერთი კოლეგის ნათქვამმა ცივი წყალი გადამასხა. ის ამბობდა, რომ ჩემპიონატი არ მოეწონა, რადგან ახალი ვერაფერი ნახა, ესე იგი, კაცი, რომელმაც ნახა უდრამატულესი შეხვედრები, ულამაზესი გოლები, უმაღლესი დონის შესრულება და, ბოლოს და ბოლოს, ნაღდი სანახაობა, ამბობდა, რომ ახალი(!) ვერაფერი ნახა. ის ტაქტიკას გულისხმობდა.

დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ და თუ გნებავთ, წლევანდელ ჩემპიონატზე თვალშისაცემი ახალი ტაქტიკის ლოდინი თანამედროვე ფეხბურთის ვერგააზრების ბრალია. ეს შემიძლია დავასაბუთო თუნდაც იმით, რომ ადრე ახალი ტაქტიკური ვარიანტები მაინც დამაინც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე იმიტომ ჩნდებოდა, რომ მსოფლიო ერთმანეთის ოთხწლიანი ჯაფის შედეგს მხოლოდ დიდ ტურნირებზე ეცნობოდა. დღეს, როდესაც ყოველ დღე შინიდან გაუსვლელად შეგვიძლია არათუ დიდი მოვლენების, არამედ „რეჯინა“ — „პარმას“ და „ბოხუმი“ — „შალკეს“ ცქერა, ბუნებრივია, ნებისმიერ სიახლეს მზა სახით კი აღარ ვიღებთ, მისი შექმნის პროცესს ვესწრებით. გამოდის, რომ თუ თანამედროვე ფეხბურთში რაიმე ახალი მოხდება, მის გასაგებად დიდი ტურნირის ცდა არ გვჭირდება და ეს მხოლოდ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რისი თქმაც მსურდა. მაგრამ აქ ის თვითმფრინავი და რუსი ჟურნალისტი სხვა მიზეზით გავიხსენე: ერთსა და იმავე მოვლენას შესაძლოა, მე ერთნაირად ვუცქერდე, სხვა კი სხვანაირად და ისიც ისევე იყოს თავის აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული, როგორც მე ჩემსაში.

ამიტომაცაა რისამე კატეგორიული მტკიცება საჭოჭმანო საქმე და საერთოდაც, საკითხავია, რამდენად სწორია იმის კეთება, რასაც ახლა ჩავდივარ — მხოლოდ პირველი, ჯგუფური ეტაპის შემდეგ აზრის და შთაბეჭდილების დალაგებას ვცდილობ.

ერთი სიტყვით, როგორც კი აქ გამოთქმული მოსაზრება თქვენსას არ დაემთხვევა და თქვენ იგი გაგაღიზიანებთ, შეგიძლიათ გაზეთი დაჭმუჭნოთ და შორს მოისროლოთ, მე კი დავიწყებ.



ბურთი

ყველაზე მეტად ევრო 2004-ის ბურთი არ მომწონს და ვფიქრობ, ტელეკომენტატორების მიერ აქა-იქ გამოთქმული ეჭვი, რომ ამა თუ იმ სტადიონზე მოედანი არ ვარგა, სწორედ ამ ბუშტობისკენ მიდრეკილი უცნაური ფერის ბურთის ბრალია. რამდენადაც წავიკითხეთ და მოვისმინეთ, ეს ბურთი ტრადიციულზე მჩატეა, რაც მის მოძრაობას (დაკვირდით თუ აქამდე არ დაკვირვებიხართ, ბურთი ხშირად აბსურდული ტრაექტორიებით დაჰქრის) ძალიან ამოუცნობს ხდის. გასაგებია, რომ ამ მეთოდით ფიფა თუ უეფა გოლების რაოდენობის და ფეხბურთის სანახაობრივ-გასართობი მხარის გაზრდას ცდილობს, მაგრამ მჩატე ბურთი მხოლოდ მეკარეებისთვის კი არა, რამდენადაც ტელეეკრანიდან შევნიშნეთ, უზადო ტექნიკით განთქმული ფეხბურთელებისთვისაც გარკვეულ პრობლემად ქცეულა, ხოლო მისი ფერი გულწრფელ კითხვას ბადებს: რატომ? ვფიქრობთ, ბურთი მკაფიო და გასაგები, შავთეთრი შეფერილობისა უნდა დარჩეს.

გადაღლა და არდაღლა

ამ სიტყვებს რომ ვწერ, პორტუგალიის და ინგლისის ნაკრებების მეოთხედფინალურ დაპირისპირებამდე საათებია დარჩენილი და ამიტომაც მაკლია კიდევ ერთი ფაქტი თუ საანალიზო მასალა. თქვენ კი, ვინც ახლა გაზეთს კითხულობთ, ხსენებული მატჩის შთაბეჭდილებით გამდიდრებული ბრძანდებით და უფრო თამამად შეგიძლიათ დაეთანხმოთ ან შეედავოთ ჩემს იმ მოსაზრებას, რომ ოთხ დიდ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელები (იგულისხმება სერია A, პრემიერლიგა, პრიმერადივიზიონი და ბუნდესლიგა) მაინც უფრო მძიმენი და დაღლილნი არიან, ვიდრე სხვები. გაიხსენეთ გერმანიის, იტალიის და ესპანეთის ნაკრებები, ინგლისი საკუთარი გემოვნების მიხედვით მიამატეთ ან გამოაკელით და ბოლოს ნურც საფრანგეთს დატოვებთ ეჭვის თვალის გარეშე. მართალია, ფრანგთა ამბავი დღეს გაირკვევა, მაგრამ ვფიქრობ, აქამდე მათი ერთადერთი პლუსი ზინედინ ზიდანი იყო, რომელიც, ცხადია, სხვებსავით გადაღლილია, მაგრამ ფენომენალურიც იმიტომაა, რომ როცა საჭიროა, დამატებით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ენერგიას პოულობს.

თუ ჩვენი მსჯელობა მართალია, გამოდის, რომ დღეს, როდესაც სამწვრთნელო მეთოდიკა ყველგან დახვეწილი და ერთია, ის ფეხბურთელები, რომლებიც „ჩემპიონატ- ლაითებში“ თამაშობენ, ზემოხსენებულ მძიმე ოთხეულთან შედარებით უპირატესობას ფლობენ. თუმცა, ვაღიარებ, რომ ამას კიდევ უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება. კერძოდ, უნდა ავიღოთ, ვთქვათ, ამჟამინდელ მეოთხედფინალისტთა ყველა ფეხბურთელის საკლუბო მდგომარეობა და ვნახოთ, სად და რა დოზით თამაშობენ ისინი.

ტენდენცია

ვადასტურებ, ტელევიზორთან ექსპერტთა ჯგუფი რომ იჯდეს, ამის მტკიცება მაინც საეჭვო იქნებოდა, მაგრამ გავბედავ და მარტო ვიტყვი, რომ ევრო 2004-ის ჯგუფურ ეტაპზე თუკი ვინმემ თავდასხმის ხარჯზე დაცვა გააძლიერა, დაისაჯა. აქ იმდენად შეტევა-კონტრშეტევაზე არ მაქვს ლაპარაკი, რამდენადაც პროპორციაზე და მის დარღვევაზე. მაგალითად, ინგლისმა საფრანგეთთან ძალიან ჩაკეტვა და კონტრშეტევები ამჯობინა ჩვეულებრივ ბრიტანულ ბურთაობას, მაგრამ თავიდან თავისი დოზა შეტევისა მაინც ჰქონდა შენარჩუნებული, ხოლო, როდესაც სვენ გორან ერიკსონმა უეინ რუნი გაიყვანა და ასეთ დროს ნაკლებად სასარგებლო ემილ ჰესკი შეიყვანა, წაგო.

შემდეგ, გაიხსენეთ თუ გნებავთ ჰოლანდიელთა და ჩეხთა შეხვედრა, რომელშიც დიკ ადვოკაატმა 2:1-ზე არიენ რობენის მაგივრად პოლ ბოსველტი შეუშვა მოედანზე და 2:3 იწვნია.

იტალიელთა თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ, რომელიც შვედებთან 1:0-ს იგებდა, ალესანდრო დელ პიერო და ანტონიო კასანო გაიყვანა, ნახევარმცველებით გადაწყვიტა ანგარიშის შენარჩუნება, რისთვისაც მიიღო კიდეც ზლატან იბრაჰიმოვიჩის უცნაური გოლი.

ამ მაგალითების გარდა კი შეიძლება იყოს ნაკლებად თვალშისაცემიც და თუ ასეთი გახსოვთ, თავად მიითვალეთ.

ვარსკვლავები

თავისი ვარსკვლავები ევრო 2004-ის ჯგუფურ ეტაპს დიახაც ჰყავდა. ზიდანზე ზემოთ მოგახსენეთ და თავს აღარ შეგაწყენთ, უეინ რუნის ვარსკვლავობას კი დიდი დასაბუთება არ სჭირდება. ინგლისელების მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა 18 წლის ფორვარდს პელეც კი უწოდა. მგონი, იტალიის გუნდის გავარდნის მიუხედავად კარგი იყო კასანოც, შეგვიძლია თამამად გავიმეოროთ ჩეხების პაველ ნედვედისა და კარელ პობორსკის ნაცნობი სახელები ან ვახსენოთ იგივე ჰოლანდიელი რობენი და, თუ გნებავთ, დეკო პორტუგალიიდან, ოღონდ გთხოვთ, ნურაფერს ვიტყვით ფრანჩესკო ტოტიზე — საკუთარი წერილის სიწმინდეს ვცეთ პატივი.

ფინალი

დაბოლოს, ამ მიმოხილვის წერამ და მისი წერით ნაკისრმა პასუხისმგებლობამ ისე დამღალა, რომ წერიტილის დასმას ვფიქრობ. ამასთან ვხვდები, რომ ნამდვილ წერტილამდე ჯერ კიდევ არის მანძილი და რამდენიმე თემა, თუნდაც მსაჯობა. ლატვიის გუნდი ან სულაც „მსაჯობა და ლატვიის გუნდი ევრო 2004-ის სინამდვილეში“, მაგრამ მოდით, ყველაფერი სამომავლოდ გადავდოთ, რადგან იმასაც ვატყობ, რომ რაც უკვე დავწერე, ზომითაც დიდია და შესაძლოა, ჩემი არ იყოს, მკითხველიც დაღალოს.

ამიტომაც ერთი ცნობილი რეკლამისა არ იყოს, ისიამოვნეთ ფეხბურთით, დალიეთ „კოკა კოლა“ და ნუ გადაიტვირთავთ თავს ტაქტიკური სიახლეების ლოდინით, ცხოვრებას თავისი წესი და რიგი აქვს.

ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჰოლანდია—ჩეხეთი იყო

ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

სიმბოლური ნაპრები



საუკეთესო მოთამაშე

უეინ რუნი (ინგლისი)

საუკეთესო მწვრთნელი

კარელ ბრუკნერი (ჩეხეთი)

წითელი ბარათი

რომან შარონოვი	რუსეთი	1
სერგეი ოვჩინიკოვი	რუსეთი	1
იოჰან ფოგელი	შვეიცარია	1
ბერნტ ჰაასი	შვეიცარია	1
სტილიან პეტროვი	ბულგარეთი	1
ჯონი ჰეიტინგა	ჰოლანდია	1

ბომბარდირები

უეინ რუნი	ინგლისი	4
რუუდ ვან ნისტელროი	ჰოლანდია	4
ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	3
ჰენრიკ ლარსონი	შვედეთი	3
იონ დალ ტომასონი	დანია	3
მილან ბაროში	ჩეხეთი	3

სევდიანად მოზეიმე ბომბარდირი

ალუივერტი ადვოკაატის კრიტიკაში ხალხის ხმას აჰყვა

ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი ამბობს, რომ ქომაგები ცამდე მართალნი იყვნენ, ლატვიასთან გამარჯვებამდე (3:0) ნაკრების მწვრთნელს, დიკ ადვოკაატს რომ აკრიტიკებდნენ. შეგახსენებთ გულშემატკივართა განრისხების მიზეზს: ჩეხეთთან შეხვედრის დროს, როდესაც ანგარიში 2:1 იყო ჰოლანდიელების სასარგებლოდ, ადვოკაატმა გარემარბი არიენ რობენი დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველით, პოლ ბოსველტით შეცვალა და ამის ბრალი იყო თუ სხვა რამ მიზეზით, 2:3 წააგო.

„ხალხმა იმდღევანდელი შეცვლის გამო მწვრთნელს უსტვინა“ — თქვა კლუივერტმა, რომელიც ადრე ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო, მაგრამ ამ ჩემპიონატზე რუუდ ვან ნისტელროის შემცვლელია.

კლუივერტმა განაგრძო: „ჰოლანდიელების რწმენით, ის დამარცხება მწვრთნელის შეცდომის ბრალი იყო, მგონი ისინი სტვენასა და კრიტიკაში სრულიად მართლები იყვნენ“.

პატრიკ კლუივერტს ნარინჯისფერი მაისურით 40 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ჰოლანდიის ნაკრები ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის მეოთხედფინალისტია. ამიტომაც ჰქონდა თავდამსხმელს გაორების გრძნობა იმ საღამოს, როდესაც ჰოლანდიამ ლატვიას 3:0 მოუგო, ხოლო ჩეხებმა გერმანელებს 2:1 აჯობეს და ნარინჯისფერი ზეიმის ღამე დაუყენეს.

„მწვრთნელმა იცის, რომ ორასი პროცენტით ვარ მზად და არ მათამაშებს. ძალიან კარგია გუნდი შემდეგ ეტაპზე რომ გავიდა, მაგრამ მე ფეხბურთელი ვარ და თამაში მსურს. ამიტომაც ვგრძნობდი სევდას, მიუხედავად იმისა, რომ ის ღამე ჩვენთვის ზეიმისა იყო“.

შეგახსენებთ, რომ კლუივერტი დღევანდელ გუნდში სულაც მესამე თავდამსხმელია ზემოხსენებული ვან ნისტელროის და როი მაკაის შემდეგ, რომელიც ლატვიასთან შეხვედრაში მოედანზე შევიდა და თავისი გოლი გაიტანა.

„ნამდვილი ჩემპიონატი დღეს იწყება — ამბობს კლუივერტი — ჩვენ ბევრი დიდოსტატი გვყავს, ასე რომ, გავჩერდები და შევხედავ მოიძებნება თუ არა ამ გუნდში ჩემთვისაც ადგილი. ნუ დავავიწყდებათ, რომ ჩემი ქვეყნის მთავარი ბომბარდირი ვარ და მინდა ასევე გავნაგრძო“.

პაპუნა კედია

ავი სიტყვა

პერკე? ვარუმ?

მაგრად დავიგრუზეთ, ბიჭებო

დღეს მთავარი ის კი არ არის, იტალია და გერმანია ესპანეთს რომ მიეწიენ, არამედ ის, რაც ჩვენთან ხდება: ქართველები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი ჩაწყობითაა და ვინაიდან ეს ასეა, გამოვიდა, რომ სადაც ყველა, იქაც ჩვენ. ჰოპლა, ჩვენსა და მათ შორის განსხვავება არ ყოფილა, ხოლო ის, რომ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები სხვები ხდებიან, იმის ბრალია, რომ ისინი უკეთესად ჩალიჩობენ. აქედან დასკვნა: ჩალიჩს და ლევი ამბავს უნდა ვუმატოთ, თორემ ხომ ხედავთ გვენჭყრევა.

თუ ვინმესთვის გაუგებარია, რაც ზევით ვთქვი, გასაგებად ვიმეორებ: ფეხბურთს მაგარი კი არ იგებს, ის იგებს, ვინც ტოტალიზატორებთან უკეთესად არის შეკრული! გუშინ ერთმა ჭკვიანმა ბიჭმა მითხრა, შვეცია და დანია იგრუზება და იმის მიხედვით ცვლიდნენ ანგარიშსო. ცამდე მართალი ბრძანდებოდა ის ბიჭი. სწორედ ასე იყო, მიადგებოდა მორტენ ოლსენი მოედნის ნაპირს და დაიყვირებდა: იონ დალ! იონ დალ! ბიჭო, „უილიამ ჰილში“ ჩვენი ერთიანი ძალიან დაგრუზულია და მაგ ჰენდრიკს გადაეცი გაგვიტანოს, თორემ ცუდაა საქმე, ამ თვეში უხელფასოდ ვრჩებით ჩვენც და ეგენიც.

ეხლა, მე უკვე ვიცი, რა გაიფიქრეს ინტელიგენტებმა: ეს ამბავი ყველას (თბილისში და სან ფრანცისკოშიც) ასე კარგად თუ გვცოდნია, ფულს რატომღა ჩავდიოდით, რა, დებილები ვიყავითო?

ჩემო კარგო ინტელიგენტებო, მე ფულს არ ჩავსულვარ!

ხოლო ვინც ჩავიდა, იმას ყომარობდა, რომ უნდოდა გაერტყა რასაც მაფიოზები ყომარობენ, თორემ თამაშზე რომ ნაღდს არავინ ყომარობდა და ფეხბურთელებიც მაფიოზებთან ერთად ყომარობდნენ, ძალიან კარგად იცოდნენ. მოკლედ, დებილი არავინ არ არის, ეს ცხოვრება კიდე ერთი დიდი ყომარია, მართლა ის თქვენი წიგნები და კომპიუტერი არ გეგონოთ. ამას წინათ, „სარბიელის“ რედაქციაში ღამის სამის ნახევარზე ბავშვმა დარეკა რომელიღაც თამაშში რამდენი კუთხური იყოო. ამის მერე როგორ გინდა დაიჯერო, რომ შვეცია-დანიამ 2:2 არ გააკეთა. ისე, ნეტავ იმ ბავშვს შვედური ან დანიური აქცენტი ხომ არ ჰქონდა?! აფსუს, არ დავკვირვებივარ. ნეტავ მაშინვე მიმექცია ყურადღება...

მოდი, ეხლა, დროებით ტოტალიზატორებს თავი დავანებოთ და ჩვენს მთავარ საქმეს, ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას დავუბრუნდეთ.

იტალია გავარდა! პერკე ანუ რატომ? ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს იცის, „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი, პორტუგალიაში მივლინებული გიო ახვლედიანია, რომელმაც ერთ წერილში მოიწერა კიდეც იტალიელების ავტობუსის მძღოლი გავიცანი და ისეთი ამბები მომიყვა, რომ...

და თხრობა დაახლოებით აქ შეწყვიტა, რისთვისაც იმედი მაქვს რედაქცია ხელფასს დაუქვითავს. ჩვენ კი რა ვილაპარაკოთ, სანამ ის არ ჩამოვა და წინადადებას არ დაასრულებს!

ამიტომ, გადავიდეთ... და გადმოვიდეთ გერმანიაზე. კითხვა ასეთია: ვარუმ გავარდა გერმანია? პასუხი ასეთია: ვარუმ და დარუმ, რომ კლოზე, ბობიჩი, კურანი და კურანი ერთად რომ აიღო, ფიოლერის მარჯვენა ულვაშის წონა არ გამოვა. აქ საუბარი გვაქვს ფიოლერზე, როგორც ფეხბურთელზე, თორემ როგორც მწვრთნელი, ფიოლერი იგივე იარცევია, ოღონდ ცოტა უფრო ტრაპატონი.

eurofan2004@hotmail.com

HENDE HOCH!

მაშ ასე, ჩვენი ძველი კარგი ნაცნობი **GIORGI** გერმანიას ასე დასტირის: ეეეეეეეეეეეეეჰ! ეს რა საშინელება მოხდა, მაგრამ არა უშავს. გერმანია მაინც ყველაზე მაგარია, ყურების ჩამოყრა არ ღირს, ფორტუნამ გვიმუხთლა. თუმცა მარტო უიღბლობას ვერ დააბრალებ იმას, რომ გერმანიის ნაკრებმა ჯგუფში ვერც ერთი თამაში ვერ მოიგო. ამ ფიოლერმა ვერაფრით ისწავლა მნვრთნელობა. ჯერ კიდევ გუშინ იტალიის გავარდნით ვხარობდი. დღეს კი... გერმანიის ფანებო, არ მოინყინოთ. გახსოვდეთ, რომ გერმანია ყველაზე მაგარია, მიუხედავად ყველაფრისა!!!!!!!!!! **DEUTSCHLAND UBER ALLES!**

პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია. არა, ისე, როგორ იყო, იტალიას რომ დასცინოდი?

მომდევნო ნეკროლოგი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს **DON'T CRY FOR ME...**

— გაუმარჯოს „სარბიელს" და მის განუმეორებელ ვებმასტერს (ოღონდ ეს „ბუარა" რა არის გამაგებინე!) გწერთ გერმანიის გულდამწვარ-გულდათუთქული გულშემატკივარი (ამათ ხელში კიდევ მაგრად ვარ!). არ გავამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ გერმანელების თამაში მომენტებში საქართველოს ნაკრების ყველაზე უარეს თამაშებს მაგონებდა (განივი და უკან პასებით)... და არც იმაზე, რომ ჩეხეთს მე-2 კი არა, ვგონებ მე-17 შემადგენლობა ჰყავდა გამოყვანილი... უბრალოდ, მინდა სულის ამოძახილი გაგიმხილოთ: თუნდაც მათეუსკლინსმანი ხომ მოუწყობდნენ ჩეხებს (და არა მხოლოდ მათ) 1:2-ზე, 1:3-ზე, 1:4-ზე „ბართლომეს ღამეს"?!?!?! მე შენ გეტყვი, არ მოუწყვიათ თუ რა?! ცოტა გულზე მომეშვა...

BEST REGARDS

LONG*_

ნუ, რაკი მოგეშვა, მეც შვებით ამოვისუნთქე, იმის პირობასაც გაძლევ, რომ არ ვიტირებ, ოღონდ საქართველოს ნაკრების ყველაზე უარეს თამაშებს ნუ მახსენებ — ამდენს რა გაიხსენებს. ბუარა კი გაზაფხულზე ცაცხვის თეთრი რაღაცეები რომ დაფრინავენ, იმას ჰ ქვია. ყოველ შემთხვევაში, ეგ სახელი ვინც დამარქვა, ეგრე ამიხსნა.

უი, გერმანულ ნეკროლოგებში იტალიურებიც გამოერია. არა უშავს, ნეკროლოგი ნეკროლოგია. წავიკითხოთ.

კიდევ ერთი ჩვენი ძველი ძმაკაცი **LESO27**, აი, ის, ნათიას და ქეთის რომ აბრაზებდა, დანია და ინგლისი ცუდი გუნდებიაო: მოგესალმებით მაგარ გატეხილში მყოფი იტალიის ბალელშჩიკი, პირველად ვიტყვი, რომ ტრაპატონი მსოფლიოს ჩემპიონატის მერე უნდა გაეგდოთ. ნავიდა მაგის დრო, ეგ ბებერი ბოზი ისევ 80-იან წლებშია დარჩენილი, სამი

გუშინ დილას სამსახურში რომ მოვედი, „სარბიელის" გერმანისტები მომვარდნენ და მახრჩობდნენ, აღიარე, გერმანია მაინც ყველაზე მაგარი რომ არისო. მახრჩობდნენ და რა უნდა მექნა, ვაღიარე, თუმცა გერმანიას ამით, მგონი, არაფერი მომატებია.

ჩვენი გუშინდელი მიმოხილვა სევდიანი გამოვიდა, „სკუადრა აძურა" დავიტირეთ და დღევანდელი მიმოხილვაც სევდიანი იქნება, აბა, ამხელა გერმანიას ნეკროლოგები არ სჭირდება?!

თავდამსხმელით ვინღა თამაშობს თანამედროვე ფეხბურთს? სკანდინავიელების ... ეს რა იყო? უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი. ამ თამაშმა სიმღერის კონკურსი „ევროვიდენიე" გამახსენა, სადაც მეზობელი ქვეყნები ერთმანეთს აძლევენ ხმას. **GIORGI**-ს კი ვეტყვი, რომ იტალიას ლატვიასთან მაინც არ უთამაშია ფრე და იმედია, ამ წერილის წაკითხვისას გერმანია უკვე გავარდნილი იქნება. ეეეეეეეჰ! აბა, დროებით. ძირს სკანდინავია!

P.S. LG79-ს კი ვეტყვი, რომ ყველაზე დიდი ქალოია თავის საყვარელ გუნდში მოიკითხოს ბექემის სახით.

ვაჰ, ეს **LESO**— ვინ ყოფილა, ნათია და ქეთი ხომ გააბრაზე, ახლა **LG79**-ს არ მისწვდა?! მაგრამ გგონია **LG79**-ს ასე იოლად გააბრაზებ? ნახე რას წერს.

— ბენზეს 30-ე კორპუსი მოგიკითხე, ღიპიანი პოლიციელი ვერ ვნახე, დააწინაურეს. ახლა საქმე. იტალია ხომ გავაგდე, ფრანგებს საბერძნეთი მიხვდავს და საერთოდ, დანია მაგარი გუნდია ძალიან. შვედებსაც არა უშავს, მაგრამ მაინც ვერ ქაჩავს. იტალიის თამაშს ვინც უყურა, მე მგონი თვითონ იტალიელებისთვის კარგია, რომ ახლა გავარდნენ წაუგებლად. სირცხვილია, ეგ ნაკრები იტალიას თავს მოჭრიდა. ყველა ინგლისის ფანს კი გკოცნით, გეხვევით, გივარდებით წელში. ბათუმი. პივზავოდი. თქვენი გიჟი გიზო

P.S. დილით ყავა, „სარბიელი" და სიგარეტი საუკეთესო ნაზავია.

ჯიგარი ხარ, გიზო, ჩემი მოკითხვა რომ გადაეცი ხალხს. ჰო, ახლა მე-100 ნომერი მარშუტკის მძღოლები მომიკითხე.

ვაიმე, მგონი, ცუდაა ჩემი საქმე, მომდევნო წერილის ავტორი თუ ის არის, მე ვინც მგონია, ხვალიდან მე-5 იზოლატორში მოგიწევთ „პერედაჩების" მოტანა.

— „სარბიელს" გაუმარჯოს! მივესალმები თქვენს მკითხველს, გამორჩევით იმათ, ვინც **EUROFAN2004**-ზე იწერება. ყველა ნომერს ვკითხულობ, მკითხველთა წერილების გამოქვეყნება ძალიან მომეწონა. იმედია, ევრო 2004-ის შემდეგაც გააგრძელებთ. 22 ივნისის ნომერში იყო **LESO2**-ის წერილი, სადაც ეწერა, ეს ესპანეთი ეტყობა გერმანიას ეჯიბრებაო. მგონი, იტალიაც მაგათ ეჯიბრებოდა. ისე, შვედეთი და დანია ვერ მოიქცნენ კარგად. შეიძლება, არც უთამაშიათ ის 2:2 სპეციალურად, მაგრამ იმდღევანდელი „სარბიელისა" არ იყოს, ეხლა მიდი და ამტკიცე, რომ ასე არ ყოფილა. დასაჭერები არიან ორივე გუნდის მნვრთნელ-ფეხბურთელები. ვნუხვარ, რომ პორტუგალიამდე ხელი არ მიმიწვდება. თუ სადმე სამართალი არსებობს, ორივე გუნდი უნდა დაისაჯოს.

P.S. ისე, რომ იცოდეთ, არგენტინას ვგულშემატკივრობ პირველ რიგში, მერე ესპანეთს, თუმცა გულით მხოლოდ საქართველოს ნაკრებს ვგულშემატკივრობ.

ADIOS, კარგად იყავით, საქართველოს გაუმარჯოს!

ირაკლი ოძრუაშვილი

დიახ, ბატონო ირაკლი, რა თქმა უნდა, დასაჭერები არიან. და განა მარტო ეგენი? ეგებ ის გერმანისტებიც დაიჭიროთ, გუშინ დილას რომ მახრჩობდნენ...

ისევ იტალიური ნეკროლოგი.

DIDGORI1121: ისე, ვის არ გჯეროდათ იტალიის გაფარჩაკება? მე ვარ იტალიის გულშემატკივარი, მაგრამ რაც იტალიას ტრაპატონი ჩაუდგა სათავეში, იმის მერე იტალიის ნაკრები რაღაც ანტიფეხბურთს თამაშობს. იმაზეც მადლობა ვთქვათ, რომ გავარდა, მაგრამ წაგება არ ჰქონია. ესეც დიდი მიღწევაა ალბათ ტრაპატონის ხელში.

ჩეხეთი ხომ არ გაგვიჩემპიონდა უკვე? გუშინ გერმანიას გულშემატკივრებმა მოუგეს, მე მგონი პირველ გუნდს არ გაუჭირდება ჩემპიონობა არა? ისე, მე მგონია, თუ გაცდა დანიას, ჩემპიონი გახდება უეჭველი. დღევანდელ მატჩს რაც შეეხება, დღეს ინგლისი თავისი ბომჟი ფანებით წავა ბრიტანეთში. მგონე, თავი მოგაბეზრეთ. ისე ბევრ მომწონს ეს ევენი რუბრიკა და დიდ წარმატებებს გისურვებთ. **FORZA ITALIA! FORZA JUVENTUS! FORZA DEL PIERO!**

P.S. ჩვენ როდესმე გავალთ ან ევროპაზე ან მსოფლიოზე? რაღა ვიღაც ინგლისელებზე და პორტუგალიელებზე ვწეროთ, ჩვენზე დავწერთ ოდესმეეეეეეეეეე?????????????-?????? არა მგონია.

ოდესმე კიიიიიიი, მაგრამ მალე არ მგონიაااااااა. ამ დელ პიეროს გულშემატკივრობას კი რით ვერ დაანებე თავი?

ვაა, ნათიასგან წერილი მოვიდა. მგონი მართლა იგებს მისი ასი დოლარი: გამარჯობა, ბუარა! ჩემი ფსონი ჯერჯერობით ამართლებს. დანია მაინც მოიგებს ყველას ჯინაზე. იმედია, დღეს ინგლისსაც აატირებენ. 2:1 მშვენიერი იქნება. ინგლისის ფანებს დიდი ბოდიში. საფრანგეთსაც არ უჩანს კარგი პირი.

ნათია, იმ დღეს რომ გთხოვე, 100 ლარი მეც მასესხე-მეთქი, აღარ მინდა, ვიშოვე. სამაგიეროდ, ერთი ახლობელი მყავს, იმას დაჭირდა სასწრაფოდ ფული და ეგებ დაეხმარო, თან მაგარი სიმპათიური ბიჭია:

— კაი გამარჯობა შენი, ბუარა, როგორ ხარ თუ იცი? საღოლ შენ ძმაო, კაი რამეს აკეთებ. რაც შეეხება ამ ჩემპიონატს, ეს ჩემპიონატი კი არა, დარდუბალაა მგონი და ყველაზე ძაან იცი, რაზე მწყდება გული? მეც ფეხბურთელი ვარ და რომ ვუყურებ ამ ძალით ფეხბურთს, მაგრად მიტყდება. **LESO2**-ს მინდა დავეთანხმო, ეგ ინგლისი ერთი კაი სოფლის გუნდს ჰგავს, მაგას ოსიაურის „ბადაგაური" მირჩევნია, ისინი უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ თავისი ზვიოთი და ეგეთებით. ჰო, ისე მე პორტუგალიას და დანიას ვბალეშჩიკობ და ვნახოთ, რა გამოვა. ისე, დანიის ჩემპიონობაზე გამახსენდა და... **NATIA 1111** დანია რომ გახდეს ჩემპიონიარ გამიყვან ნილში? ლომბარდში ბრასლეტი მაქვს და ეგება გამომატანინო.

ჰო და ეგრე რა. აბა, შენ იცი, ჩემო ბუარა.

SIMPATIAGA_BOY

ძმაო, მე გადავეცი ნათიას და მეტი რა ვქნა? თუ გინდა, ერთ ანეკდოტს მოვყვები, რომელიც **REZIDENT**-მა გამოაგზავნა: სკუადრა აძურა ზღვაში ბანაობს. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ტოტი დამხრჩვალა. ჰკითხეს იტალიელებს, რატომ არ მიეშველეთო. ჩვენ გვეგონა, სიმულიანტობდაო.

ახლა ეს ანეკდოტი 202-ზე რომ მოყვეს იმერელმა, ხომ არის ღირსი საავტორო უფლებების დარღვევისთვის ვუჩივლო?

დღეს ამით დავამთავროთ. მეილში კიდევ ბლომად წერილები დამრჩა და ხვალ უეჭველად გავარჩევ.

ვებმასტერი ბუარა

eurofan2004@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოექსი

ტორსტენ ფრინგსისთვის ევრო 2004 კაპუტ

მიხაელ ბალაკი იაროსლავ პლასილს მაშველი რგოლივით ჩაებღაუჭა

ტომაშ გალაშეკმა მსაჯი ტიერი ჰაუგეც წააქცია და ნაქები გერმანიაც

წადი, ბაბუ, პენსიაზე?!

მკერდსავსე ჰოლანდიური სიხარული


ამ ფეხებს რომ უყურებთ, მილიონები ღირს. რუნის ფეხებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		25 ივნისი						
23.45	026	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,45	3,5	8,0	1,02	1,22	2,43
		26 ივნისი						
23.45	027	შვედეთი-ჰოლანდია	3,5	3,1	2,05	1,64	1,29	1,23
		27 ივნისი						
23.45	028	ჩეხეთი-დანია	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

© 2002 UEFA TM

I ტაიმის შედეგი

	25 ივნისი						
5026	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,75	2,35	7,0	1	1,4	1,75
	26 ივნისი						
5027	შვედეთი-ჰოლანდია	3,8	2,05	2,5	1,33	1,5	1,12
	27 ივნისი						
5028	ჩეხეთი-დანია	2,5	2,05	3,8	1,12	1,5	1,33

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა. XII ტური						
		27 ივნისი						
18.00	310	ფრისკა-გაის	3,2	3,4	1,95	1,64	1,21	1,23
20.00	311	ფრიოლუნდა-ბოდენსი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
21.00	312	იოსტერსი-ასირისკა	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
21.00	313	ოპერა-გეფლე	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
21.00	314	ფალკენბერგი-ბრაგე	2,2	3,3	2,8	1,32	1,23	1,51
		28 ივნისი						
22.00	315	ჰეკენი-ატვიდაბერგი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.00	316	ბრომაპოიკარნა-ენჩიოპინგი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
22.00	317	ვესტეროსი-ნორჩიოპინგი	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
		ნორვეგია. ტიპელიგა. XIII ტური						
		27 ივნისი						
21.00	319	ბრანი-ლილესტრიომი	2,0	3,3	3,4	1,25	1,25	1,7
21.00	320	ფრედრიკსტადი-ვიკინგი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
21.00	321	სოგნდალი-ტრომსიო	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
21.00	322	ჰამარი-ოდ გრენლანდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
21.00	323	სტაბეკი-ვოლერენგა	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
21.00	324	ბოდიო გლიმტი-მოლდე	2,1	3,4	3,1	1,29	1,25	1,62
		28 ივნისი						
22.00	325	ლინი-რუსენბორგი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
		ნორვეგია. I დივიზიონი. XIV ტური						
		27 ივნისი						
21.00	328	ბრინი-სტრიომსგოდსეტი	1,95	3,6	3,0	1,26	1,18	1,63
21.00	329	ჰიონეფოსი-ჰაუგესუნდი	2,05	3,6	2,8	1,3	1,18	1,57
21.00	330	კონგსვინგერი-ალესუნდი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
21.00	331	მოსი-ტრომსდალენი	1,25	5,3	7,5	1,01	1,07	3,1
21.00	332	რაუფოსი-ჰიოდი	1,85	3,8	3,1	1,24	1,15	1,7

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	333	სანდეფიორდი-პორს გრენლანდი	1,25	5,3	7,5	1,01	1,07	3,1
21.00	334	ვარდ ჰაუგესუნდი-მანდალი	3,2	3,8	1,8	1,73	1,15	1,22
22.00	335	სტარტი-სკეიდი	1,35	4,6	6,0	1,04	1,1	2,6
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური						
		25 ივნისი						
23.45	353	სტ.პატრიკსი-შელბურნი	3,5	3,1	1,9	1,64	1,23	1,17
23.45	354	უოტერფორდი-დერი	1,55	3,4	5,3	1,06	1,19	2,07
		26 ივნისი						
23.30	355	ლონგფორდი-დროგედა	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS კროკო

ტელკრედიტი
TELCREDITI
CROCO BOOKMAKERS
10 42 00 24
+%

შემდეგ ეტაპზე გასვლა

I-ში თანაბრადII-ში

	25 ივნისი		
7026	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,1	5,0
	26 ივნისი		
7027	შვედეთი-ჰოლანდია	2,2	1,5
	27 ივნისი		
7028	ჩეხეთი-დანია	1,5	2,2

რომელი გუნდი 'გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

	25 ივნისი		
5426	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,35	3,2
	26 ივნისი		
5427	შვედეთი-ჰოლანდია	2,0	1,8
	27 ივნისი		
5428	ჩეხეთი-დანია	1,8	2,0

	1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	25 ივნისი									
5126	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,9	15,0	40,0	3,6	5,3	14,0	25,0	14,0	14,0
	26 ივნისი									
5127	შვედეთი-ჰოლანდია	5,0	10,0	20,0	5,6	4,4	4,2	20,0	10,0	3,2
	27 ივნისი									
5128	ჩეხეთი-დანია	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	5,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	25 ივნისი			
5526	საფრანგეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0
	26 ივნისი			
5527	შვედეთი-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0
	27 ივნისი			
5528	ჩეხეთი-დანია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	25 ივნისი		
5326	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1,9
	26 ივნისი		
5327	შვედეთი-ჰოლანდია	1,6	2,0
	27 ივნისი		
5328	ჩეხეთი-დანია	1,6	2,0

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	25 ივნისი		
5226	საფრანგეთი-საბერძნეთი	1,7	1,9
	26 ივნისი		
5227	შვედეთი-ჰოლანდია	1,7	1,9
	27 ივნისი		
5228	ჩეხეთი-დანია	1,75	1,85

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

INTERTOTO CUP

დილა—მარეკი

მარეკს მილუშევი ვეღარ უშველის

დილას მეტოქე უწამლოდ და უპატრონოდ დარჩა

გორის „დილას“ მეტოქის ბანაკში არეულობაა. დუბნიცური „მარეკი“ სპონსორის გარეშე დარჩა — ბულგარეთში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ფარმაცევტულმა კომპანიამ „ბალკანფარმამ“ კლუბის შენახვაზე უარი თქვა და ამას საგანგებო პრესკონფერენციაც მიუძღვნა.

— ფეხბურთი აღარ არის ჩვენთვის პრიორიტეტული მხარე და ამის გამო „მარეკს“ ვერ ვუპატრონებთ — განაცხადა გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე „ბალკანფარმას“ პრეზიდენტმა სტეფან მილუშევმა, ვინც „მარეკს“ 1999 წლიდან სპონსორობდა.

მილუშევი „მარეკიდან“ რომ მიდიოდა, ადრეც გაუწყეთ, თუმც ამ ამბავს ახლაღა მიეცა ოფიციალური სახე.

— ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რომ ინტერტოტოს თასზე გორის „დილას“ ვერ მოვუგეთ და ასე უხასიათოდ მივდივარ. თუმცა იმედი მაქვს, ბიჭები საქართველოში უკეთ ითამაშებენ და შემდეგ ეტაპზე „მარეკი“ გავა, ოღონდ უჩემოდ. „მარეკს“ წარმატებებს ვუსურვებ. ჯერ არ გადამიწყვეტია, დავბრუნდები თუ არა ფეხბურთში — თქვა მილუშევმა.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ბულგარელები თბილისში სამ წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებენ. მეკარე გეორგი პეტკოვი ტრავმირებულია და ფეხი ჯერაც თაბაშირში აქვს. სხვათა შორის, პეტკოვი ბულგარეთის ნაკრების კანდიტატიც იყო, თუმც ტრავმამ ევროპის ჩემპიონატზე წასვლის შანსიც მოუსპო. ასევე ტრავმის გამო გამორიცხულია გუნდის ლიდერ ბიბიშკოვის თამაშიც. ილია ილიევი კი დისკვალიფიცირებულია — გეხსომებათ, იგი „დილასთან“ პირველ მატჩში მსაჯმა გააძევა.

ასე რომ, გორელებს კარგი შანსი აქვთ მეორე ეტაპზე გასასვლელად და იმედია, გამოიყენებენ კიდეც. შეგახსენებთ, მატჩი 27 ივნისს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებულს კი ბელგიური „გენკი“ ელის.

ძახა შალამბერიძე

ჩოქსა თშრქეთში ჩოქსაღოლად ვიდის



გუშინდელ ფოტოზე

ინტერტოტოს თასის პირველი მატჩი ბულგარეთში, „მარეკთან“ გორის „დილამ“ თავისი საუკეთესო ბომბარდირის მერაბ ძოძუაშვილის გარეშე ითამაშა. მეტიც, 23 წლის თავდამსხმელი მომავალშიც ვერ დაეხმარება გორელებს — მას „დილასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა.

ახლობელ-მეგობრებში „ჩოქსად“ ცნობილი ქუთაისელი ფორვარდი ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს და დღე-დღეზე თურქეთში გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ ძოძუაშვილისთვის თურქეთი უცხო არაა — იგი სამი წლის წინაც თამაშობდა „ერზერუმსფორში“. დავით სირაძესთან ერთად, თუმც მძიმე ტრავმის გამო მალევე დაბრუნდა საქართველოში.

როგორც გავიგეთ, „ჩოქსას“ ახლაც „ერზერუმსფორი“ ეპატიჟება — ეს გუნდი ახლა თურქეთის პირველ ლიგაში გამოდის.

მე-15 ეროვნული ჩემპიონატი ძოძუაშვილისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო, განსაკუთრებით პირველი ეტაპი, როცა 17 მატჩში 5 გოლი გაიტანა და თან „დილას“ თასის ნახევარფინალში გასვლაშიც ლომის წილი დიდო. ასე რომ, იგი ვალმოხდილი წავიდა „დილადან“ და ბრუნდება იქ, სადაც წლების წინ კარიერა არ აეწყო.

ლუკა თალაკვაძე

ნემსაძე შტუტგარტშიც გასინჯეს

გერმანიაში, რუიტში მყოფი თბილისის „დინამო“ ორჯერადი ვარჯიშებით იწრთობა. დღეს დინამოელები რუიტული შეკრების პირველ მატჩს ითამაშებენ — ბადენ-ვიურტენბერგის მხარის ნაკრებს გაეჯიბრებიან. ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ მუხლმტკივანი მიხეილ კაკალაძე და ლადო ბურდული, ვისაც დიდ დატვირთვებს ჯერ არიდებენ. ნაოპერაციევი გიორგი ნემსაძე კი შტუტგარტელ ექიმებს გაესინჯა და მათგან სარეაბილიტაციო პროცესისთვის კონსულტაციები მიიღო.

გუშინდელ ფოტოზე

ზაზა ჯანაშია მეთევზეებმან მეგობრობს და აი, ა

სწორდით, ევროტურნირები მოდის! ქართულ გუნდებს დღეს წილი ეყრებათ

დავით თავართქილაძე

ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრაა — სამი საუკეთესო ქართული გუნდის მეტოქეები გაირკვევა და მერე ისიც, თუ რისი მაჭისები არიან ისინი ევროსარბიელზე.

გურამ რუხაძე

ᲓᲦᲔᲣᲚᲘ საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს — „დინამოს“ და „ტორპედოს“ შემდეგ ამ ტიტულის მომგები კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა, რომელსაც ევროტურნირებზე თამაშის გამოცდილება აქვს — სხვა ქართული გუნდების დარად ევროსარბიელზე თავი დიდად არც „ვიტ ჯორჯიას“ გამოუჩენია, მაგრამ ჩემპიონი რომ გახდები და ჩემპლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რომ გახვალ, უფრო მეტის კეთების ინსტინქტი ხომ უნდა გქონდეს?!

„ვიტ ჯორჯია“ დატოვა მთავარმეგოლე რევაზ გოცირიძემ, პლეიმეიკერმა გიორგი დეკანოსიძემ, სხვა კლუბს ეძებს გუნდის კაპიტანი და ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე, იგივეს აპირებს გარემარბი გიორგი ადამიაც — მოკლედ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. არც იმას უჩანს პირი, რომ მათ ნაცვლად კლუბი ასეთივე გამოცდილ და ხარისხიან ფეხბურთელებს მოიყვანს. საევროპოდ „ვიტ ჯორჯიას“ დარჩება საინტერესო, ახალგაზრდა ფეხბურთელები, — დავით იმედაშვილი, ოთარ მარცვალაძე, პავლე დათუნაიშვილი, ლექსო ინწკირველი, კიდევ გამოცდილი მოთამაშეებიც — მირზა მერლანი, თენგიზ კობიაშვილი, ვლადიმერ გოჩაშვილი, დავით დიღმელაშვილი...

ბევრი რომ არ გავგრძელოთ, ერთხელაც ვთქვათ, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება ფეხბურთში ძალიან ცუდი ტენდენციაა, ხოლო საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ჯერ არ ძლიერდება.

წინა სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ „სარბიელს“ უთხრა, კლუბის პოლიტიკა რომ სწორია, ეს გამოჩნდება, „ვიტ ჯორჯია“ მალე ჩემპიონი გახდებაო. პრეზიდენტმა სიტყვა შეასრულა. თანაც „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან გამართული ინფრასტრუქტურა აქვს — ჩემპიონატის სამივე და ყველა ასაკობრივ ლიგაში ჰყავს თავისი გუნდი, საიდანაც იღებს კიდევ შევსებას პირველი გუნდი. იმავიათად, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ სხვა კლუბიდან მოიწვიოს საველანი ფეხბურთელი, თუმც გამონაკლისებშიც ზუსტად არ ჭყაპს ეიხანში — მახაჩყალის „ანჟიდან“ ალეკო გოგობერიშვილი 50 ათას დოლარად იყიდა და სამმაგად მიჰყიდა „დინამოს“. ლევან მელქაძე, ფაქტობრივად, მუქთად ჩაიგდო ხელში „დინამოდან“ და მერე „დინამოს“ 350 000 დოლარად მიჰყიდა (კულუარული ინფორმაციით); ასევე თითქმის მუქთად გადაიბირა „ვიტ ჯორჯიამ“ სანდრო იაშვილი და ისიც „დინამოს“ მიჰყიდა. ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯია“ ყველაზე შემოსავლიანი კლუბია საქართველოში, მაგრამ გუნდი უკვე ჩემპიონია და ახალ ეტაპს შეუდგა, რასაც კლუბის ახალი პოლიტიკა და ახალი ინვესტიციები უნდა მოჰყვეს — არის კი ამისთვის მზად „ვიტ ჯორჯია“? დამდეგი ევროტურნირები ამის ერთ-ერთი საუკეთესო კატალიზატორი იქნება.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ მძაფრი სიუჟეტი ჰქონდა გასულ სეზონში თბილისის „დინამოს“. კლუბის მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს სამწლიანი გეგმა დაუსახავს და აქედან ნახევარი წელი უკვე გასულია. „დინამომ“ გამოცდილი და სახელიანი ფეხბურთელი არავინ დაიმატა, ახლები ახალგაზრდები არიან, რომელთაც და კიდევ რამდენიმე ნაცად ფეხბურთელს გია გეგუჩაძე თავკაცობს. გეგუჩაძე შემტევი და რისკიანი ფეხბურთის მიმდევარია, ბოსკამპისტად ითვლება, ხოლო სამუშაო ოთახში დავით ყიფიანის ფოტო უდევს.

გეგუჩაძეს „დინამოში“ უკვე აქვს გარკვეული წარმატებები — სწორი სელექცია, რაც „დინამო 2“-ის პირველ ლიგაში გამოსარჩევი თამაშით გამოჩნდა — „დინამოს“ მეორე გუნდი ძალიან თანამედროვე, სწორ ფეხბურთს თამაშობდა და თუ ასე გაგრძელდა, „დინამო“ მალე ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადების ძალიან მზარდი ლაბორატორია გახდება.

მაგრამ ევროტურნირებზე სულ სხვა გუნდები, სულ სხვა მოთხოვნებია, რის დაკმაყოფილებას სულ სხვა პირობები სჭირდება. პირობებში, რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობ, „დინამოს“ ფეხბურთელი BMW-თი დადის თუ ნოლშესტით, მაგრამ ის კია, რომ „დინამო“ ევროტურნირების სტანდარტ მინდორზე კი არ ვარჯიშობს და თამაშობს, არამედ ლამის ყანაში.

თუმც „დინამოსგან“ მაინც განსაკუთრებულს ველით უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე — შეტევას, ახალგაზრდულ ჟინს და თავგამოჩენილ ახალგაზრდებს. გეგუჩაძემ კი გვითხრა, პირველი ეტაპი უნდა გადავლახოთ, ამის იმედად ვართო.



დავით პეტრიაშვილი

ᲔᲕᲠᲝᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ დებიუტანტია „თბილისი“, რომელსაც უეფას თასის საგზური შემთხვევით ერგო ბოლნისის „სიონის“ ნაცვლად — „ოქროს მატჩზე“ მომხდარი ინციდენტების და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების წყალობით, თუმც „თბილისი“ ის გუნდია, რომელსაც საინტერესო და ახალგაზრდა მწვრთნელ-ფეხბურთელები ჰყავს, კარგი მინდორი და ნაკრების ბაზა აქვს, კიდევ ამბიციები. ცხადია, ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება „თბილისის“ პირველი გასვლა ევროსარბიელზე.

ვინც გულით ქომაგობს გუნდებს და არა კუშებით, მათ მწარე წარუმატებლობები მალე ავიწყდებათ, მაგრამ მორიგ ჩაფლავებაზე გული კუშქომაგზე უფრო მაგრად ეთუთქებათ — ქართული ევროგუნდებისგან ჯერჯერობით უფრო კუშქომაგი ხეირობს — ვინ დაიწყებს ამ ტენდენციის მსხვრევას — „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ თუ „თბილისი“? კარგი იქნება, თუ ნაირგვარ სინდიკატებში გაერთიანებული ქართული კლუბები ასეთ რბოლაშიც ჩაებმებიან.

ნიკოლოზ დოლიძე

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1:2 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

0:1 დიღმელაშვილი (173), 1:1 ოდიკაძე (433), 1:2 მარცვალაძე (71)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: *დევაძე, ლოლაძე (გ.ნუგ. ჭელიძე), ორბელაძე, ქემოკლიძე, გეწაძე, ოდიკაძე, გოგუა (მესხი 46), ხოჯავა (სამხარაძე 71), მიქაძე (ი. მოდებაძე 65), აფციაური, გ. მოდებაძე*

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: *მამარდაშვილი, იმედაშვილი, ნოზაძე, გ. დათუნაიშვილი (მარცვალაძე 46), მალიჩავა, ლ. კვარაცხელია (გველესიანი 54), დიღმელაშვილი, ა. დათუნაიშვილი (კუპრეიშვილი 70), ინწკირველი, ებანოიძე (გოჩაშვილი 46), კვახაძე*

ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძის (მარჯვნივ) მეორე გოლი „თბილისისა“ და აკაკი დევაძის კარში

ორივე გუნდს თითო ძმური დუეტი ჰყავდა — მოდებაძეების და დათუნაიშვილების. „თბილისმა“ „ისნის“ ჩინებულ მინდორზე ზედიზედ მეორე საშინაო საკონტროლო მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვება მეტი გუნდურობის დამსახურება იყო.

ვეტერინარებმა სამი წამყვანი მოთამაშე კი დაკარგეს, მაგრამ საკუთარი ხელწერა მაინც შეინარუნეს. ისევ სწრაფი, კომბინაციური თამაში და სიხისტე მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე.

„თბილისი“, ეტყობა, ჯერაც ძიებაშია და მიქაძის შეძენა მართლაც რომ სწორი არჩევანია. „თბილისმა“, როგორც ჩანს, ძმები მოდებაძეებით ფორვარდების პრობლემა შეიმსუბუქა.

პირველ ტაიმში თითო უხეშობა და უზადოდ შესრულებული პენალტები იყო, მეორეში კი კოჭლაშვილმა ძველ, ნაცად მოთამაშეებს უხმო და გოჩაშვილ-მარცვალაძის დუეტმა გამარჯვებაც გამოჭედა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცვალაძის გოლი, რომელიც სისწრაფისა და ინდივიდუალური ოსტატობის ჩინებული ნაზავი იყო. საერთო ჯამში თვალსაჩინო თამაში გამოდგა, მოსაწყენად არც მეკარეებს ეცალათ და არც მაყურებლებს.

დავით ერაძე



გიორგი დევდარიანი და „თბილისის“ ახალწვეული ირაკლი მოდებაძე

მერაბ კოჭლაშვილი და „ვიტ ჯორჯია“ ევროპელ მეტოქეს ელიან

ᲕᲘᲢᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრას დაელოდება და ხვალ გერმანიაში გაემგზავრება.. ვეტერინარები ჰანოვერის მახლობლად, ნორდჰაუზენის სპორტულ ბაზაზე დაბინავდებიან. ეს სპორტკომპლექსი მეორე ბუნდესლიგის კლუბების შესაკრებ ადგილად ითვლება. გამორიცხული არაა, თბილისელები რომელიმე მეორე ბუნდისლიგელს გაეჯიბრონ.

გერმანიაში „ვიტ ჯორჯია“ ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: ბედიაშვილი, მამარდაშვილი, მალიჩავა, ლ. კვარაცხელია, დიღმელაშვილი, ინწკირველი, ებანოიძე, კვახაძე, ლომაია, კუპრეიშვილი, ცხომარია, გველესიანი, ბერელიძე, კობიაშვილი, გოჩაშვილი, მერებაშვილი, სახოკია, მარცვალაძე.

დავით ერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუქნიოთ მსოფლიოს მუშტი

საქართველო რინგზე ბრუნდება

თებერვალში ხორვატიაში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ორმა ლიცენზიანმა ქართველმა მოკრივემ თავიანთ ქალაქებს მიაშურა. ნიკოლოზ იზორიამ (51კგ) ფოთში განაგრძო ოლიმპიადისთვის მზადება, ხოლო კონსტანტინე კუპატაძემ (57კგ) ქუთაისში. საქართველოს ნაკრების თავკაცმა თენგიზ მესხაძემ მათ ერთი კვირის წინ მოუყარა თავი და თბილისური შეკრებაც დაიწყო.



ზვიად იზორია



თენგიზ მესხაძემ ზვიად იზორიას და კონსტანტინე კუპატაძეს სახლი დაუთმო

ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროს მწვრთნელ-შეგირდები ერთად გაატარებენ. თბილისის შემდეგ ბაკურიანში წაივარჯიშებენ. მერე კი რუმინეთ-უკრაინაში ტურნირ-შეკრებასაც გაივლიან.

დედაქალაქში ჩამოსული მოკრივეები მესხაძესთან დაბინავებულან და საგანგებოდ მათთვის ეროვნულ ფერებში გაწყობილ ოთახში იძინებენ. დილიდან დალამებამდე კი ხან შტანგას სწევენ, ხან კროსებს დარბიან და ხანაც ცურავენ.

ჩვენი შეხვედრა ლაგუნა-ვერეზე შედგა. მწვრთნელს მანამდე ველოდეთ, სანამ მისმა ბიჭებმა 25-მეტრიანი აუზი 60-ჯერ(!) არ გაცურგამოცურეს.

„ათენისთვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას თბილისით ვიწყებთ. ჯერ ბიჭებს მხოლოდ ფიზიკურად ვტვირთავ. აუზის გარდა მთაწმინდასა და კუს ტბაზეც ვვარჯიშობთ. სასტუმროს ვარიანტს თავად ვამჯობინე ჩემთან დაბინავებულიყვნენ. ოთახი საქართველოს დროშებითა და სურათებით მოვურთე, ეროვნული სული რომ კიდევ უფრო გავუძლიერო.“

მესხაძისვე თქმით, თბილისური ვარჯიშები 26 ივნისს დასრულდება. 1 ივლისიდან კი 10-12 დღე ბაკურიანს მიაშურებენ. 13 ივლისიდან 7 აგვისტომდე დროს რუმინეთსა და უკრაინაში დაჰყოფენ. ჯერ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ მუშტს, საშეჯიბრო დატვირთვა რომ გაიხსენონ, ხოლო შემდეგ ალუშტაში ადგილობრივ და ბალტიისპირელთა ნაკრებებთან ერთად გაივლიან შეკრებას. უკრაინიდან დაბრუნებულთ ათენში გამგზავრებამდე ორი დღელა დარჩებათ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ლამის საათივით დაუგეგმავთ და დაუნაწილებიათ.

მესხაძეს საოლიმპიადო შანსებზეც დავეკითხეთ და საკმაოდ იმედიანი პასუხიც მოვისმინეთ: „კუპატაძე და იზორია ახალი თაობის სპორტსმენები არიან. მათგან ლიცენზიებს რეალურად პეკინის ოლიმპიადისთვის ველოდით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახლა უიმედოდ ვიყავით. საქართველოს ძლიერი და, რაც მთავარია, პერსპექტიული ნაკრები ჰყავს, რაც ხორვატიულ ევროპის ჩემპიონატზეც გამოჩნდა. ორი ლიცენზიისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ სიდნეის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ დავისახეთ მიზნად. მგონი, ჩემი და იმდროინდელი კრივის ფედერაციის თავკაც ზურაბ ფალიანის გარდა ამის იმედი არც არავის ჰქონდა. მთლიანად ახალი სახეებისგან დაკომპლექტებული ნაკრები ჩავიბარე. ეს ბიჭები შვილებივით ვზარდე და მიხარია, რომ უკვე შედეგს ვიმკით. მომავალი კიდევ უკეთესი იქნება. პეკინისთვის ამათ სხვებიც მიემატებიან, თან ისეთები, ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა რომ შეეძლებათ. ამ ეტაპზე კი ორი კაცითაც დავკმაყოფილდეთ, ესეც მშვენიერი შედეგია. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ოლიმპიურ სიურპრიზებსაც შემოგვთავაზებენ. რეალურად ორივეს შეუძლია მედლისთვის ბრძოლა. მთავარია, ოლიმპიურ სპეციფიკას აუღონ ალღო და ცოტათი კენჭისყრამ გაუმართლოთ.“

მესხაძის მოკრივეობისდროინდელი ერთი ისტორიაც — „ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიები დანიაში ევროპის ჩემპონატზე გათამაშდა — მაშინ მიზანს ხუთმა მივაღწიეთ. გოგოლაძემ, ბერკაცაშვილმა, კაკაურიძემ, კანდელაკმა და მე. ეს მეოთხედფინალში გასვლით მოვახერხეთ. წლეულსაც ასე რომ ყოფილიყო, ხორვატიიდან ოთხი ლიცენზიით დავბრუნდებოდით. ხორვატიაში მეოთხედფინალში კუპატაძე-იზორიას გარდა ჟვანიამ და ბერკაცაშვილმაც იჩხუბეს, მაგრამ წააგეს და საგზურამდე ერთი ნაბიჯიღა დააკლდათ. სტატისტიკა არც ისე უიმედოა. თან ჯამში მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ გაგვისწრო. მოკლე შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებს ისევ სერიოზულ ძალად აღიქვამენ.“

ოთარ გალლაკელიძე



კონსტანტინე კუპატაძე



კობრას ნაკბენი სწრაფად კლავს

გოგოლაძემ მექსიკელი ნახევარ რაუნდში გააგორა

ამერიკაში მოვარჯიშე და მოკრივე ქართველი პროფესიონალების დაუმარცხებელი სვლა გრძელდება. ამჯერად ინტერკონტინენტალის ქამრის მფლობელ კობა გოგოლაძისა და შედარებით გამოუცდელი ავთო ხურციძის ჯერი იყო და ორივემ იოლად იმარჯვა. განსაკუთრებით გოგოლაძემ ივაჟკაცა, მექსიკელ მაურისიო ბორხესს რინგზე გახურებაც არ აცალა და სულ რაღაც ნუთნახევარში ხელთათმანი დააწვინა. ამ ამბავს კობა ფილადელფიიდან გვიყვება:

— ასე უცებ რამ მოგაგებინა, მისალმება მაინც თუ მოასწრო?

— პირველივე რაუნდში დავამარცხე, მაგრამ დაახლოებით წუთით ადრეც შეიძლებოდა მოგება. პირველივე შეტევაზე ნოკდაუნში ჩავარდა და შევეშვი. დიდხანს რომ ველარ გაძლებდა, თვითონაც იცოდა. სეკუნდანტებმაც მალევე გადმოაგდეს თეთრი პირსახოცი.

— რამდენი რაუნდი უნდა გეჩხუბათ?

— წესით, რვა რაუნდი. ეს სარეიტინგო შეხვედრა იყო. მორიგი ბრძოლა კი, როგორც მენეჯერმა მითხრა, ათრაუნდიანი იქნება, ეგებ ქამრის დასაცავიც, ჯერ საბოლოოდ არ ვიცი.

— როდისთვის იგეგმება?

— დაახლოებით 20 ივლისისთვის.

— ხურციძემ როგორღა მოიგო?

— დიდი უპირატესობით, თუმცა ქულებით. ამერიკელ ჯონ გადისს თავიდანვე გაუხეთქა წარბი, მაგრამ ძლიერი ბიჭი იყო და ბოლომდე ვაჟკაცურად გაუძლო. ეს გამარჯვება ხურციძისთვის მეორე იყო. ასე რომ, ჩვენს გზას ავთოც მშვენივრად მოუყვება.

— ფალიანები როდის აპირებენ ჩხუბს?

— ზუსტი თარიღი, ისევე როგორც მეტოქეები, ჯერ მათაც არ იციან. ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში ავლენ რინგზე. შალვა სარეიტინგო ქულებისთვის, რამაზი კი ალბათ ქამრის დასაცავად.

— ესე იგი, შეიძლება ძმებს ისევ შენ მოასწრო?

— ალბათ. აქაოდა, პირველივე რაუნდში მოიგეო, მენეჯერი სწრაფადვე მაჩხუბებს.

— ახალი მენეჯერი გყავთ და საინტერესოა, როგორ შეეგუეთ?

— თავის საქმეს ფრიადზე აკეთებს. ჩემი და ავთოს ჩხუბისთვის საქართველოს დროშიანი და ქართულ წარწერებიანი მაისურები დაამზადებინა და ჩვენს გულშემატკივრებს დაურიგა.

— ქომაგები ბევრი გყავდათ?

— საკმაოდ. ახლო ქალაქებიდან ბევრი ქართველი ჩამოვიდა. ფილადელფიაზე კი ჩვენმა მეგობარმა რომა დავითაშვილმა იზრუნა. მგონი, ამ ქალაქში მცხოვრები ყველა ჩვენებური მოიყვანა. მხურვალედ დაგვიჭირეს მხარი და ძალიანაც გაიხარეს.

ოთარ გალლაკელიძე

ოჯახის უფროსი ცოლ-შვილის ფონზე

ნოდარ გვახარია (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში



ნოდარ გვახარია სამწვრთნელო სარბიელზე

იმ დღეს საქართველოს ცურვის კონფედერაციის ყრილობაზე მისულებს ცუდი ამბავი დაგვხვდა — წუხელ ნოდარ გვახარია გარდაიცვალა და ახლა რა გვეყრილობებაო, გვითხრეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა და ძველმა თანაგუნდელებმა.

ამ სამწუხარო ამბავმა გული ატკინა არა მხოლოდ წყალბურთის, არამედ მთელ ქართულ სპორტულ სამყაროს, რომლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელიც ნოდარ გვახარია იყო.

იმ დღეებში იყო ბევრი მოგონება და ნოდარ გვახარიას განვლილი სპორტული ცხოვრების გახსენებაც.

და ახლაც კიდევ ერთხელ გვახსენდება, რომ ნოდარ გვახარია საქართველოს წყალბურთის წარმატებათა სათავეებთან მდგომი ერთ-ერთი კაცი იყო.

ნოდარ გვახარია თავის დროზე იყო ქართული და მთელი საბჭოთა წყალბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, მისი უბრწყინვალესი წარმომადგენელთაგანი.

წყალბურთის თამაში, ბუნებრივია, ყოფილმა მოცურავეებმა დაიწყეს. მათ შორის იყვნენ საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენები პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია და ბათუმელი პეტრე ბრეუსი, რომლებიც სხვა საბჭოთა წყალბურთელებეთან ერთად მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ეს საბჭოთა წყალბურთელებისთვის პირველი ოლიმპიური მედალი და, საერთოდ, პირველი დიდი წარმატება იყო. თუმცა, შინაურ შეჯიბრებებში პეტრე მშვენიერაძე და მისი სეხნია ბრეუსი იმ დროს უკვე მოსკოვის „დინამოს სტაჟიანი წევრები იყვნენ. ერთხანს, 1953-55 წლები იქვე თამაშობდა ნოდარ გვახარიაც, მაგრამ მერე თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა და მას ბოლომდე უერთგულა.

თბილისში წყალბურთის განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ „დინამომ“ შეიტანა, რომლის ლიდერიც ნოდარ გვახარია იყო.

1961 წელს გამოცემულ თავის წიგნში „ცისფერ მოედნებზე“ ნოდარ გვახარია ასე იხსენებს თბილისში, სანაპიროზე მდებარე საწყლოსნო კომპლექსში გადადგმულ თავის პირველ ნაბიჯებს:

„სანაპიროზე ხშირად ნახავდით მზით გარუჯულ ბიჭებს, რომლებიც ბორნიდან წყალში ხტებოდნენ, მტკვრის დინებას მიჰყვებოდნენ, ასოდე მეტრის დაშორებით ნაპირზე გადიოდნენ და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. სწორედ აქ, მტკვრის სანაპიროზე, დაიწყო ჩემი სპორტული გზა, აქ გადავდგი სპორტში პირველი ნაბიჯები. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე უსაზღვროდ მიტაცებდა სპორტი. პირველ ხანებში კალათბურთს ვთამაშობდი, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ცურვა მიზიდავდა. ალბათ, სწორედ ამიტომ მოვხვდი 1946 წელს თბილისის საზაფხულო აუზში. ამ აუზის ცურვის სექციას, რომელშიც მაშინ ჩავეწერე, მწვრთნელი ლუკა იოაკიმიდი ხელმძღვანელობდა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ დროს ცურვა და წყალბურთი სპორტის ერთ სახეობად ითვლებოდა და მათში ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობდა. მახსოვს ამ პერიოდში თბილისში ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მოსკოვის „დინამო“ იყო ჩამოსული. ჩვენი მწვრთნელი ლუკა იოაკიმიდი მეკარის როლს ასრულებდა. ჩვენმა გუნდმა, რომელშიც თამაშობდნენ წყალბურთის ვეტერანები ალექსი გეგელია, ანატოლი რუხაძე და სხვები, წააგო შეხვედრა ანგარიშით 4:5. მართალია, შედეგი არასასიამოვნო იყო, მაგრამ შეხვედრა ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე ცურვასთან ერთად წყალბურთის თამაშისთვისაც მომეკიდა ხელი. ეს სურვილი ორი წლის შემდეგ შევისრულე, როდესაც საკმაოდ ცნობილი მოცურავის სახელი მოვიპოვე.“

ნოდარ გვახარიამ ცურვაში მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონისა და რეკორდსმენის სახელი, ჯერ გულალმა, მერე კი თავისუფალი სტილით ასპარეზობაში. ბოლოს წყალბურთი არჩია და მას დაუკავშირა თავისი მომავალი. ნოდარ გვახარია თავის წიგნში საკუთარ წარმატებებზე თითქმის არაფერს ამბობს და მხოლოდ თანაგუნდელებზე და მეტოქეებზე საუბრობს. ამიტომ ისევ ჩვენ ვიხსენებთ მის წარმატებებს.

ნოდარ გვახარია საქართველოს წყალბურთელთაგან გახდა პირველი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი (1953 წელი) და პირველი სსრ კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი (1960). მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოდან საკავშირო ჩემპიონატების პირველ პრიზიორთა სახელებთან, რომლებიც სწორედ თბილისის „დინამოს“ წევრები იყვნენ, თუმცა მაშინ საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიოდნენ და 1956 წელს მოსკოვში მეორე ადგილი დაიკავეს.

იმ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ვლადიმერ ბარტაევი, ნოდარ გვახარია, ვლადიმერ გოიაშვილი, გიორგი დარახველიძე, ბორის მეგედი, ვლადიმერ კლიმენკო, კონსტანტინე ოვანესიანი, კონსტანტინე პოტაპოვი, ზურაბ ჩაჩავა, ვლადიმერ რეხვიაშვილი და ირაკლი ჩხიკვაძე. მათ ამ წარმატებას მწვრთნელ როსტომ ჩაჩავას მეთაურობით მიაღწიეს.

სწორედ იმავე წელს ნოდარ გვახარია საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გახდა ოლიმპიური თამაშების პირველი პრიზიორი და შორეული მელბურნიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

ის წელიწადი ნოდარ გვახარიას ოჯახისთვის მხოლოდ ამ ოლიმპიური კი არა, მისი კალათბურთელი მეუღლის ალისა ასიტაშვილის ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლითაც გამორჩეული გამოდგა. თუმცა, ერთსაც და მეორესაც მანამდე ერთსა და იმავე წელიწადსაც არაერთი და არანაკლები წარმატება მოუპოვებიათ, მათ შორის ერთსა და იმავე ქალაქში. მაგალითად, 1955 წელს ვარშავაში გამართულ ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრულ თამაშებზე, რომელიც იმ ხანად რანგით მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს ჩამოუვარდებოდა.

მაშინ ვარშავაში ალისამ თავისი მედლების კოლექცია ამგვარი თამაშების მეორე ოქროს ჯილდოთი შეავსო. 1953 წელს ბუქარესტში მოპოვებული ასეთივე ჯილდოთი თავს იწონებდა ნოდარ გვახარიაც, ვარშავაში კი ვერცხლი დაიმსახურა.

— იმ წლებში ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით და სხვა ჩვენს თანაგუნდელებთან ერთად ერთმანეთის შეჯიბრებებზეც დავდიოდით — იხსენებს ქალბატონი ალისა — ბუქარესტში, ჩვენს პირველ ამგვარ თამაშებზე მოკრივეთა ტურნირზე სულაც ერთ სკამზე ვიჯექით, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ყურადღება არც გამოგვიხატია. მაშინ ცნობილი ლიტველი მოკრივე ალგირდას შოციკასი და მართლაც ლეგენდარული უნგრელი ლასლო პაპი ხვდებოდნენ ერთმანეთს. ლასლომ უმალ ნოკაუტში ჩააგდო შოციკასი. მახსოვს, როცა ჩვენ ვთამაშობდით, მთელი საბჭოთა წყალბურთელების ნაკრები მოვიდა. ასევე ჩვენი მთელი ქალთა ნაკრების წევრები წყალბურთელების ასპარეზობას მივადექით. ეგვიპტელებს ხვდებოდნენ. ეგვიპტელები სულ მეტისები და ძალზე წარმოსადეგნი იყვნენ. არაჩვეულებრივად ლამაზად თამაშობდნენ. სამწუხაროდ, მერე ეგვიპტელთა მთელი გუნდი, იტალიაში რომ მიემგზავრებოდა, ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ეს რომ გაიგეს, ბევრ ჩემს თანაგუნდელს ცრემლი მოადგა. ისინი ყველანი კარგად იცნობდნენ ნოდარსაც და უკვირდათ, შენი თანამემამულეა და ახლოს რატომ არ იცნობო. ნოდარი არაჩვეულებრივი იყო და ჩვენი გუნდის წევრთაგან ცოლობაზე არავინ ეტყოდა უარს. საბჭოთა წყალბურთელების ნაკრებში მაშინ პეტრე მშვენიერაძეც იყო. მერელა გავიგე, რომ ერთხელაც პეტრე მისულა ნოდართან და უთქვამს, გარე-გარე რომ იყურები და სადღაც დარბიხარ, აგერ ალისას შეხედე, რა კარგი გოგოა. სტაცე ხელი და ცოლად მოიყვანეო. მაგრამ ნოდარი, რომ იტყვიან, ნაგლი არ იყო.

1953 წლის მოსკოვის „დინამოს“ გუნდი, რომელშიც სამი ქართველი თამაშობდა და სამივე მთავარი გამწევი ძალა იყო. ესენი იყვნენ ნოდარ გვახარია (ზის მარჯვნიდან მეორე), პეტრე მშვენიერაძე (მარცხნიდან მეორე) და ზურაბ ჩაჩავა (დგას მარჯვნიდან მეორე)

და ნოდარ გვახარიამაც სხვა თვალით შეხედა მომავალ მეუღლეს. იგი მართლაც გამორჩეოდა სხვათაგან. 1954 წელს ბელგრადში, როცა ალისა ასიტაშვილი საბჭოთა თანაგუნდელებთან ერთად პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, 20 ათასი კაცი ერთგულ ერთი, ხმაშეწყობილად სკანდირებდა: „ა-ლი-სა!, ა-ლი-სა!“ მაყურებელი ასიტაშვილის სახელს მხოლოდ მისი ბრწყინვალე თამაშის გამო კი არ სკანდირებდა, არამედ გარეგნული მომხიბვლელობის გამოც.

— ჩემპიონატი რომ დასრულდა, ჩემთან მოვიდა კალათბურთის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი, წარმატება მომილოცა და მახარა, თქვენ „მის ბასკეტბოლად“ ერთხმად აგირჩიესო.

„ბასკეტბოლი“ ჰო, მაგრამ ეს „მის“ რაღა იყო, მაშინ არც ვიცოდი. ვიფიქრე, ალბათ რაღაც სპორტული ტიტულია-მეთქი. იმ ჩემპიონატზე იცოდნენ, რომ მე გეოლოგიურზე ვსწავლობდი. ჰოდა, ადგნენ და, როგორც საუკეთესო მოთამაშეს თუ „მის ბასკეტბოლს“, მინერალების კომპლექტი მაჩუქეს. მერე ის კომპლექტი თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტს ვაჩუქე.

ღმერთო, დიდებულო, მას მერე ნახევარი საუკუნე გავიდა, მე კი ყოველივე გუშინდელივით მახსოვს.

— ბოლოს და ბოლოს, როგორ მიიღეთ ბატონ ნოდარის წინადადება ცოლობაზე?

— წარმოიდგინეთ, უმალ დავთანხმდი. მაშინ ერთი პიროვნება იყო ჩემზე გადაკიდებული. მთელ ქალაქში მხოლოდ მას ჰყავდა უცხოური ავტომანქანა. მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ ყველა მირჩევდა, არ შეცდე, ცოლად არ გაჰყვე, ცუდი ხასიათისააო.

ნოდარი კი სულ სხვანირი იყო, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას ვიამბობთ, ყოველივე ეს შვილებისთვისაც კი არ მითქვამს, არც ნოდარისთვის.

არა, ნოდარი მართლაც არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა იყო. დაოჯახების მერე კალათბურთისთვის აღარ მეცალა, ნოდარი კი რამდენიმე წელიწადს კიდევ თამაშობდა. მის კვალს შუათანა შვილი, დევიც ბოლომდე გაჰყვა. ჩვენსავით მსოფლიო უნივერსიადის მედალოსანი გახდა, საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიც მოიგო, საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედალიც...

ქალბატონი ალისა იმასაც იხსენებს, ჩვენს ოჯახში მუდამ დიდი საოჯახო სპორტული დებატები იყო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ნოდარ გვახარიას მიღწევათა გახსენებას.

ნოდარ გვახარია არის საქართველოს წყალბურთელთაგან ევროპის ჩემპიონატის პირველი მედალოსანი. მან ამ წარმატებას 1958 წელს ბუდაპეშტში საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად მიაღწია, საიდანაც ასევე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად ნოდარ გვახარია საქართველოდან გახდა პირველი წყალბურთელი, ვინც ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების და სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მედლები მოიპოვა. აქედან პირველ ასპარეზობაში იგი ერთხელ (1953 წ.) ჩემპიონი, ორჯერ კი მეორე პრიზიორი გახდა (1955 და 1957 წ). მეორეში კი ვერცხლის პრიზიორი იყო (1954).

ნოდარ გვახარია იყო პირველთაგანი, ვინც საქართველოს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მედალი — ვერცხლის ჯილდო, თანაგუნდელებთან ერთად მოუტანა.

შემდგომში ნოდარ გვახარია მოთამაშე-მწვრთნელი გახდა და ამგვარად მან თბილისის დინამოელებთან ერთად 1960 წელს საკავშირო ჩემპიონატში კვლავ ვერცხლის მედალი მოიპოვა. როგორც მწვრთნელმა ნოდარ გვახარიამ მსგავსი წარმატება 1962-63 წლებშიც გაიმეორა, მომდევნო წელს კი მისმა გუნდმა „ბრინჯაო“ დაიმსახურა. ასეთი მიღწევებისთვის გვახარიას სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელობაც ანდეს.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ იმ დღეს გასამართ ყრილობაზე 64 წლის ნოდარ გვახარიასთვის ცურვის კონფედერაციის პრეზიდენტად ხმის მიცემას ბევრი აპირებდა.

ავთანდილ გურასაშვილი

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი



მეტწყლიანობა

წვიმა: მხოლოდ ერთი, უკვეთესი მოთამაშე

უიმბლდონობის მესამე დღეს „ოლ ინგლანდ კლაბის“ საჩოგნეთში მხოლოდ ერთი მოთამაშე — გადაულებელი ალბიონური წვიმა გაირჯა. წვიმამ მართლაც მაგრად ითამაშა და ყველაფერთან ერთად — ცხორმეცხორის ნერვებზეც.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ეს ამბავი ყველას ახელებს, აღარავის უკვირს. ბარაქიან ჩოგბურთთან და სხვა, ჭეშმარიტად კუნძულურ რამე-რუმეებთან ერთად ხომ წვიმა უიმბლდონის განუყრელი თანამგზავრია.

მეტწყლიანობის გამო სრული ერთი დღის ჩაგდების ტრადიცია კი უიმბლდონზე პირველივე, 1877 წლიდან დამკვიდრდა. იმ წლიდანვე ხდება ხოლმე ისიც, რომ ფინალები არა შაბათ-კვირას, არამედ ორი-სამი დღით გვიან იმართება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, წვიმამ ოთხშაბათს 45 საპირველწრეო და 29 სამეორწრეო მატჩი ჩაშალა.

მაჯობა

4:6, 4:6, 1:6 და არანაირი შანსი – ასე შეაფასა ირაკლი ლაბაძემ ლეიტონ ჰიუიტთან გუშინდელი მეორე წრის შეხვედრა

— ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშე. უბრალოდ, ჰიუიტი თამაშობდა უნაკლოდ. ჩემზე უკეთესი იყო და გამარჯვების არანაირი შანსი არ დამიტოვა.

— პირველ ორ სეტში მაინც თანაბარ ბრძოლაში წააგე.

— შედარებით, თორემ მოგების შანსი არც იქ მქონია.

— ამინდმა ან წელის ტკივილმა ხომ არ შეგიშალა ხელი?

— არანაირმა ტკივილი. მაჯობა და მომიგო. რაც შეეხება ამინდს, უსიამოვნო ქარი კი იყო, მაგრამ წაგებას ვერაფრით დავაბრალებ.

— წინა საუბრისას ფავორიტად ფედერერი დაასახელე. ახლა მის გვერდით ჰიუიტსაც ხომ არ დააყენებდი?

— ფედერერი უმთავრესი ფავორიტია, მაგრამ ჰიუიტის ჩამოწერაც არ შეიძლება, ისევე როგორც როდიკის და ჰენმანის. რაც უნდა იყოს, ლეიტონს უიმბლდონზე ერთხელ უკვე უჩემპიონია.

— ახლა ავსტრიაში იმკურანლებ?

— ალბათ ერთი კვირით ჩავალ. მერე შვედეთში ვაპირებ ATP-ის ტურნირზე თამაშს. მისი დასრულების შემდეგ კი თბილისში ჩამოვალ.

ოთარ გაღლაკელიძე

გადადიოდა გუნდიდან გუნდში

ზაზა ფაჩულიამ ჰაერიც გამოიცვალა



რამდენიმესაათიანი ბობქეთსელობის შემდეგ ზაზა ფაჩულიას ახალი გუნდი გამოუჩნდა — შარლოტურმა გუნდმა ქართველი ცენტრი „მილუოკი ბაქსს“ დაუთმო და სანაცვლოდ ამღამინდელი დრაფტის 45-ე არჩევნის უფლება მიიღო.

ფაჩულია გუშინწინ ჩაირიცხა „ბობქეთსში“. „ორლანდომ“ ის თავის 8 დაცულ კალათბურთელში არ შეიყვანა და სახელდახელოდ „შარლოტისთვის“ მოწყობილ დრაფტზე ქართველი ცენტრი „ფოცხვერებმა“ აიყვანეს. კი ამბობდნენ შარლოტელები, ფაჩულიას აყვანით კმაყოფილები ვართო, მაგრამ მოსაღამოვდა და ქართველი „მილუოკიში“ გაგზავნეს.

შეგახსენებთ, რომ „ბობქეთსი“ ნბა-ს ახალი გუნდია და ახლა იქ მიდი-მოდია გახურებული — ვის ჰყიდიან, ვის ცვლიან. მოკლედ, ფაჩულიაც ამ სატრანსფერო ხლართებში მოხვდა და გუშინ რომ მზიან ორლანდოში ირუჯებოდა, ხვალიდან მიჩიგანის ტბის პირას ცივ მილუოკიში მოუწევს ახალი საცხოვრებლის შოვნა. იმედია, „მილუოკი“ ზაზას ბოლო სატრანსფერო სადგური იქნება — ამის იმედს „ხარირემთა“ გენმენეჯერის სიტყვები და მილუოკური პრესის ქართველისადმი კეთილგანწყობა იძლევა.

მილუოკის წამყვანი გაზეთი „ჯეი ესი“ ფაჩულიას „მილუოკიში“ გადასვლის ამბავს ასე იწყებს: „როცა მილუოკელები წლევანდელი დრაფტის ერთადერთ არჩევნის უფლებას „ბობქეთსს“ ფაჩულიაში უცვლიდნენ, მათ კარგად ახსოვდათ 19 იანვარს „ორლანდოსთან“ 99:106 წაგებული თამაში. იმ მატჩში ქართველმა ფორვარდმა 6-დან 5 სროლა ჩააგდო, 11 ქულას 5 მოხსნაც მიაყოლა და ეს მოახერხა სულ რაღაც 21 წუთში.“

„მილუოკისთვის“ ეს გახლდათ მართლაც ერთადერთი არჩევნის უფლება ამ დრაფტზე, თანაც მეორე რაუნდისა. პირველი რაუნდის არჩევანი მათ 2001 წელს მისცეს იმ გუნდს, საიდანაც ენტონი მეისონი შეიმატეს.

მილუოკელ „ხარირემთა“ გენერალური მენეჯერი ლარი ჰარისი ამბობს — „ფაჩულია საკმაოდ ეფექტური იყო იმ მატჩში. მე იქ ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ მისი სტატისტიკისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, კარგად დავინახე, თუ როგორი მონდომებით თამაშობდა. ის ახალგაზრდაა და ენერგიით სავსე, ფაჩულია აუცილებლად შეავსებს იმ დანაკლისს, რომელსაც ჩვენი გუნდი განიცდის წინა ხაზში. მას 5 წელი უთამაშია პროფესიულ დონეზე თურქეთში. ამ ხნის განმავლობაში თავსა და ხელს შუა იზრდებოდა. მას „მილუოკიში“ დავიტოვებთ“.

„ხარირემებმა“ დღევანდელი კვერცხი ამჯობინეს ხვალინდელ ქათამს, რა ვიცით, დრაფტზე 45-ე ნომრად ვინ შეგვხვდებაო და ამ არჩევნის სანაცვლოდ „ბობქეთსიდან“ ნბა-ში გარკვეული გამოცდილების მქონე ფაჩულია წაიყვანეს. „სადრაფტო არჩევანზე უარს რომ ვამობდით, ისეთი მოთამაშის აყვანაზე ვფიქრობდით, რომელიც თავისი გამოცდილებით ჩვენს გუნდს შეავსებდა — ამბობს ჰარისი — ეგებ გაგვმართლებოდა კიდეც და 45-ე ნომრად ვინმე მაიკლ რედის დარი მოთამაშე შეგვხვედროდა, რომელიც ერთ-ორ წელიწადში გაიხსნებოდა, მაგრამ მაინც ფაჩულიას აყვანა ვარჩიეთ. მას ერთწლიანი გამოცდილება და კარგი პერსპექტივა აქვს.“

ირაკლი პერტაია





აბლაბუდა დევისთვის

დალასმა გაცვალა, გამოცვალა და შაკილ ონილს მიადგა

„დეტროიტის“ ქუჩებში საჩემპიონო ჟრიამული ჯერ ბოლომდე არ მიწუმებულა და გუნდებმა უკვე სატრანსფერო მანქანები აამუშავეს. ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ ამერიკელ ჟურნალისტებს რას გამოაპარე, კი ზორბა გარიგება გამოქექეს და გვამცნობენ:

„დალას მავერიკსმა“ გასული სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე, ზორბა და კუნთმაგარი ანტუან ჯემისონი ფინაჩ „ვაშინგტონს“ გადაულოცა და სანაცვლოდ „ჯადოქართა“ ტრავმებით გატანჯული მსრილელი ჯერი სტეკჰაუსი, გვარიანად მობერებული კრისტიან ლეიტნერი და ამღამინდელ დრაფტზე მე-5 არჩევნის უფლება მიიღო.

ამ გაცვლით ვინ მოიგო, ჯერ ვერ გაიგებ, თუმც ამ გარიგების გამომჩხრეკავი ჟურნალისტები ვარაუდობენ, „დალასს“ სტეკჰაუსი „ლეიკერსიდან“ შაკილ ონილის წამოსაყვანად სჭირდებაო.

სულელი თუ გაცვლის ონილს სტეკჰაუსში, ჰოდა, იგივე ხმები ამბობენ, დალასელთაგან გარიგებაში დირკ ნოვიცკიც ჩაერთვება და შესაძლოა, ანტუან უოლკერიცო. ეს ყველაფერი ვარაუდია, ხოლო ის კი ნაღდია, რომ თავში ნახსენები გაცვლით „ვაშინგტონმა“ რიგიანი ტრიო დაიგულა სასტარტო ხუთეულში. ჯემისონი „ვაშინგტონის“ ამყამინდელ ლიდერებთან, ჯილბერტ არენასთან და ლარი ჰიუზთან ორი წლის წინ „ოოლდენ სტეიტში“ ბურთაობდა და არცთუ ურიგოდ. ახლა ეს ტრიო „ვაშინგტონის“ მტრებს შეუტევს, „დალასი“ კი დიდ აბლაბუდას ქსოვს კიდევ უფრო დიდი დევშაკისთვის.

ირაკლი პერტაია

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური

კტპ 1:1 ლაჰტი

ირლანდია

პრემიერლიგა. XVIII ტური

დუბლინი 0:4 შემროკი

ნორვეგია

თასის მერვეფინალი

ბოდიო გლიმტი 3:3 დ(პენ.5:6, 3:3) ბრანი

ვარდ ჰაუგესუნდი 0:5 ლინი

REUTERS ლონდონიდან

მეფენი მეფოზენ

რვა წლის მერე ლონდონს ოლიმპიადის მასპინძლობა განუზრახავს და საპროგრამოუშენოდ ბუკინგემის სასახლეში მიუწვევიათ განთქმული სპორტსმენები, სამმხტომელი ფილიპ იდოვუ, სიდნეიში თანამედროვე ხუთჭიდის მომგები სტეფანი კუკი და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი თარჯრბენში დევიდ ჰემერი. მასპინძლობას კი ბუკინგემის სასახლის მომავალი გამგებელი პრინცი უილიამი სწევს. უილიამის ბებია ელისაბედი კი სიდნეიში ცეცხლის დამნთებ კეტი ფრიმენს და პარაოლიმპიელ კალათბურთელ ადე ადეპიტანს უმასპინძლდება სამეფო ღიმილით.

REUTERS ლონდონიდან

ბლოკ პოსტი

REUTERS ბელგრადიდან

ამერიკელი ჯეს სმიტი ისვრის, სერბი თუ ჩერნიგორიელი ვლადიმირ ვუიასინოვიჩი ბლოკავს ამ ნასროლს. მატჩი მსოფლიო ლიგისაა, რომელსაც ბელგრადი მასპინძლობს. ბარემ, ანგარიშიც ვთქვათ: სერბეთ-ჩერნიგორიამ 12:11 მოიგო.

ცეცხლთაყვანისცემა

ამსტერდამში საათენო ცეცხლი გამოფინეს ინგე დე ბრუინმა და ვილემ ალექსანდერმა. ხალხს ეკუთვნოდა, ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონია. ვილემ ალექსანდერი კი ოლიმპიური ჩემპიონი არ არის. ის უბრალოდ ჰოლანდიის პრინცია.

REUTERS ამსტერდამიდან

ვარსკვლავკაცი

ტორონტოს ვოქ ოფ ფეიმზე, იქაურ ვარსკვლავთქუჩაზე გაიხსნა, უფრო სწორად კი, ჩაცემენტდა დიადი ჰოკეისტის მარიო ლემიეს ვარსკვლავი. ეკუთვნოდა.

REUTERS ტორონტოდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge